



ჯავახ ეველია



საქართველოს ფინანსებისა და საზღვრები

საქართველოს მეცნიერებების აკადემია
ვახუშტი გაბრატილის სახელობის გეობრავის ინსტიტუტი
საქართველოს პარტომბრაზობა ასოციაცია გიგანტი

ჯანსულ კაველია

საქართველოს ტერიტორია და საზღვრები

II გამოცემა



გამომცემლობა ინტელიგტი
თბილისი 2006



საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი
საქართველოს კარტოგრაფთა ასოციაცია

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИИ
ИНСТИТУТ ГЕОГРАФИИ ИМЕНИ ВАХУШТИ БАГРАТИОНИ
АССОЦИАЦИЯ КАРТОГРАФОВ ГРУЗИИ

ACADEMI OF SCIENCES OF GEORGIA
VAKHUSHTI BAGRATIONI INSTITUTE OF GEORGIA
GEOORGIAN CARTOGRAPHERS ASSOCIATION

1/324.166



КЕКЕЛИА Д.И.

ТЕРРИТОРИЯ И ГРАНИЦЫ ГРУЗИИ

KEKELIA J.
**TERITORY AND BORDERS
OF GEORGIA**

«ИНТЕЛЕКТИ» 2006 «INTELEKTI»

4 ТБИЛИСИ TBILISI



ნიგოში მოცემულია საქართველოს ტერიტორიისა და საზღვრების ზოგადისტორიულ-გეოგრაფიული და კარტოგრაფიული ცნობები, საზღვრის ხაზის ცვლილების დინამიკა, გაანალიზებულია უახლესი ისტორიის საარქივო მასალები, აღნერილია თანამედროვე საზღვრის ხაზის მდგრადირეობა და ულელტეხნილები, გამოყოფილია და აღნერილია საქართველოს საზღვრისპირა ზოლის განსახლების არეალები, გაანალიზებულია კარტოგრაფიული წყაროების კარტომეტრიული მონაცემები.

ରେଡ଼ୀସତିମଣି	ପ୍ରେସ୍‌ରୁକ୍ଷାନ୍ତିକିଲ୍ ଶ୍ରେଣୀରୁକ୍ଷାନ୍ତିକିଲ୍ ପାନ୍‌ଦୂରାତ୍ମିକି,
ରେଡ଼ୀସତିମଣି	ପ୍ରେସ୍‌ରୁକ୍ଷାନ୍ତିକିଲ୍ ଶ୍ରେଣୀରୁକ୍ଷାନ୍ତିକିଲ୍ ପାନ୍‌ଦୂରାତ୍ମିକି,

ISBN 99940-39-35-0

© ପ୍ରକାଶନକାରୀ, 2006

© გამომცემლობა ინტელექტუ, 2006



ა ვ ტ ო რ ი ს ა გ ა ნ

უნივერსიტეტი

შესახების მისამართი

საქართველოს ტერიტორიისა და საზღვრების შესწავლის საკიბრი
მნიშვნელოვანი კომპლექსური მეცნიერული პრობლემაა. მისი მნიშვნე-
ლობა განისაზღვრება, როგორც საზოგადოების ფართო მასების ინტე-
რესებით, ისე სასწავლო და პოლიტიკური მოთხოვნილებებით. თუ გა-
ვითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ თანამედროვე ეტაპზე ჩვენს ქვეყანას
არ გააჩინია დელიმიტირებული სახელმწიფო საზღვარი, ნინამდებარე
მონოგრაფიული გამოკვლევა შეიძლება ნარმატებული გამოდგეს მე-
ზობელ ქვეყნებთან შერეული სადემილიტაციო და სადემარკაციო კო-
მისიაში მუშაობისას.

პირველ გამოცემასთან შედარებით მეორე გამოცემაში შესულია
ახალი და დაზუსტებული ინფორმაცია. წიგნში მოცემული რუკები,
ტექსტთან ერთად, უფრო თვალსაჩინოს გახდის ტერიტორიის
ტრანსფორმაციის დროულ მდგომარეობებს, რაც დაინტერესებულ
პირებს დახმარებას გაუწევს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის საზღვრე-
ბის სწორ აღნერაში.

მტკიცედ ვართ დარწმუნებული, ამ მიმართულებით ჩატარებული ეს
გამოკვლევა შეტად აუცილებელია არა მხოლოდ მეცნიერებისა და გა-
ნათლებისათვის, არამედ ფართო მასებისათვისაც.

გულწრფელ მადლობას მოვახსენებ ვახუშტი ბაგრატიონის სახ-
ელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის კარტოგრაფიისა და გეოინფორ-
მატიკის განყოფილების ყოველ წევრს განეული დახმარებისათვის.

მკითხველისაგან მიღებული ყოველი შენიშვნა, რომელიც ხელს
შეუწყობს ამ წიგნის შემდგომ გაუმჯობესებას, მადლობით იქნება
მიღებული.

„ქართველი ერი და მისი მთავრობა
შთამომავლობისა და ისტორიული წესის
ნაშე ვალდებულია თავისის ჩატარებულ
ლიკის სახელმწიფო ბრივი საზღვრე-
ბის მოხაზულობას ჯეროვანი ყუ-
რადღება მიაქციოს და ფხიზელ და-
რაჯად უდგეს. ეს არც ძმობა-ერთო-
ბას და კეთილ მეზობლობას დაუძ-
ლის“

ივ. ჭავახიშვილი
(საქართველოს საზღვრები, თბ. 1919, გვ. 51)

ნ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა თ ბ ა

სუვერენული სახელმწიფოს უმთავრესი სამართლებრივი საფუძ-
ველია ტერიტორია, საზღვრები, ალამი, გერბი, პიმნი და კონსტი-
ტუცია.

ამ უმთავრესი მახასიათებლებიდან ეს ნაშრომი ეძღვნება სუვერ-
ენული საქართველოს ტერიტორიისა და საზღვრების ისტორიულ და
თანამედროვე მდგომარეობის გამოკვლევას, მაგრამ მისი შექმნის იდეა
მარტო ამ მიზნით არ შემოიფარგლება. ეს უფრო სხვა გარემოებითაცაა
ნაკარნახევი და მჭიდროდ უახლოვდება ქვეყნის ქონების დაცვისა და
რაციონალური გამოყენების პოლიტიკას.

აქედან გამომდინარე ჩვენი ქვეყნის საზღვრების პრობლემა მისივე
პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს.

შესაბამისად, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის დაცვისა და რაციონ-
ალური გამოყენების ერთ-ერთ გარანტიას ქმნის მონესრიგებული სა-
საზღვრო ზოლი, რომელიც უნდა ემყარებოდეს, როგორც მეცნიერებლს
ისე სამართლებრივ საფუძველს.

ნაშრომში ყურადღება ძირითადად ამ მომენტზეა გადატანილი და
იგი შინაარსობრივად ორ ძირითად ნაწილს შეიცავს:

1. ტერიტორიისა და საზღვრების ობიექტური საფუძვლის ისტო-
რიულ ნანამძღვრებს და მათი ევოლუციის ანალიზს;



2. საზღვრის თანამედროვე მდგომარეობის კარტომეტრიულ აღ-
წერას, საზღვრების მოწესრიგების ზოგად პრინციპებს და მეთოდებს შეუძლი
ნაშრომის პირველი ნაწილი ძირითადად ემყარება ისტორიული და გეოგრაფიულ და კარტოგრაფიულ ნაკროებს, ხოლო მეორე ნაწილი კი
არქეოში და ცულ სამართლებრივ აქტებს, კარტოგრაფიულ ნაკროებს.

პირველ ნაწილში შეგნებულად ავუარეთ გვერდი კავკასიონის ქედზე გამავალი საზღვრების დეტალურ აღნერას, რამეთუ აქ მცვეთრი ტერიტორიული ცვლილებები ისტორიულად არ ხდებოდა და საუკუნეების მანძილზე საზღვრის ხაზი ბუნებრივად დაცული და თითქმის სტაბილური იყო.



**საქართველოს ტერიტორიისა და საზღვრულებელი კულტურული
წოგადისტორიული, გეოგრაფიული და კარტოგრაფიული
ცნობები**

ისტორიის მთელს მანძილზე მეზობელ ქვეყნებთან საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა მოიცავს ქართული მოდგმის მოსახლეობითა და მატერიალურ-კულტურული ძეგლებით დატვირთული ტერიტორიების, საზღვრების დაცვისა და საქართველოს ხელისუფალთა ოურისდიქციაში მოქცევისათვის ბრძოლას.

როგორც ქართული ისტორიოგრაფიული წყაროები მეტყველებენ, საქართველოსთვის პოლიტიკური დაძაბულობის ყველაზე მნიშვნელოვან უძნებს სამხრეთ-დასავლეთური, სამხრეთული და სამხრეთ-აღმოსავლეთური რეგიონები (სამცხე-საათაბაგო, ტაშირ-გარდაბანი და ჰერეთი) ნარმოადგენდა.

ამ მხრივ საქართველოს ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთურ, ჩრდილოეთურ და ჩრდილო-აღმოსავლეთურ ნაწილში მოქცეული რეგიონები რამდენადმე დაცული იყო კავკასიონის ქედით და ეს ფაქტორი, ასე თუ ისე ზღუდავდა მეზობელთა დამპურობლურ მიზნებს.

ისტორიულად ცნობილია, რომ საქართველოს ტერიტორიის საზღვრების მოხაზულობაში მიმდინარე იძულებითი ცვლილებები ძირითადად განპირობებული იყო სამხრეთის ქვეყნების (თურქეთისა და ირანის) ექსპანსიური ინტერესებით, მაგრამ ცვლილებების დროს შექმნილი ტერიტორიული ვითარების ამსახველი სურათები (რუკები) არ არსებოდა.

ადრე, ქართველი ერი თავისი ქვეყნის ტერიტორიისა და საზღვრების შესახებ მხოლოდ ზეპირ და მდიდარ წერილობით წყაროს ფლობდა და მას არ გააჩნდა ტერიტორიისა და საზღვრების მოხაზულობის ერთიანი მიმოხილვის საშუალებები (რუკები). XVIII საუკუნის პირველი ნახევრიდან დაწყებული საქართველოს ტერიტორიისა და საზღვრების მოხაზულობა ჩნდება, რომლის ისტორიულ-კარტოგრაფიული რესტავრაციით შესაძლებელი ხდება მაშინდელი ვითარების ზუსტი სურათის ნარმოდგენა.



საქართველოს ტერიტორიისა და საზღვრების ერთიანი მიმოხილვის პირველ სარწმუნო საშუალებას – კარტოგრაფიულ ნურჯეტებს უდევნარმოადგენს ვახუშტი ბაგრატიონის მიერ 1735-1745 ნლუშტებული მუნიციპალიტეტების ნილი რუკები. (2)

XVIII ს. დასანყისში საქართველო პოლიტიკურად დასუსტებული იყო და მისი ტერიტორიის გარევეულ ნაწილზე ოსმალეთისა და ირანის მმართველობა უკრელდებოდა. ვახუშტი ბაგრატიონი თავის შრომებში გულმოდგინედ აღნერს ქართული მოდგმის მოსახლეობითა და მატერიალური კულტურის ძეგლებით დატვირთული თავისი ქვეყნის სივრცით განლაგებას და საზღვრების მოხაზულობას.

სახელოვანი ქართველი მეცნიერები ივ. ჯავახიშვილი (1919), პ. ინგოროვა (1990), და სხვ. ვახუშტის შრომებში აღნერილი საზღვრების საკითხებს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ და ხშირად სხვა ისტორიული წყაროების ფონზე იხილავდნენ და აზუსტებდნენ საქართველოს, ან მისი ცალკეული რეგიონების საზღვრებს.

ქვემოთ შევეცდებით მკითხველს მივაწოდოთ, საქართველოს ისტორიული ტერიტორიის საზღვრების ვახუშტისეული „აღნერის“ გეოგრაფიულ-კარტოგრაფიული ინტერპრეტაცია, ზუსტ რუკაზე პროექტირებული და დადგნილი ფართობი (იხ. სქემა 1).

1.1. საქართველოს აღმოსავლეთი საზღვარი

საზღვრის აღმოსავლეთ მონაკვეთის აღნერისას ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: „...ეინტერა ალ ზნის შესართავიდამ. სად არს ხორანთა, მას ქვეით დიდს ალაზანს მოერთვის გიშისწყალი, რომელი გამოხდის ჯავასს, კულმუსსა და სერეთს შორისს, და მოდის გიშამდეჩრდილოდამ სამერით, მერმე აღმოსავლიდამ დასავლით. არამედ როვი არს მთის მირს, ... ამ გიშის-წყალს მოერთვის ჩრდილოდამ ჭურმუხისწყალი“ (1. გვ. 95-96).

როგორც ვახუშტისეული საქართველოს ზოგადი რუკებიდან ირკვევა, „ალაზნის შეხართავიდამ ... სად არს ხორანთა“ ე. ი. დასახლებული პუნქტი, რომელიც მდ. ალაზნის და იორის შესაყართან მდებარეობდა (ამჟამად ადგილი მინგეჩაურის წყალსაცავითაა დაფარული), „მას ქვეით დიდს ალაზანს მოერთვის გიშის-წალი“, რომელიც

ვახუშტისავე აღნიშვნით და მისივე რუკების მიხედვით, კავკასიონიდან გამოედინება, მიემართება სამხრეთით გიშამდე-ჭრაჭაჭული ॥ ბული პუნქტი ამერამად აღინიშნება და იგი მდებარეობს „მდუშიში“ ანუ გიშისნყლის ხეობაში, ქ. შექის (წუხას) ზევით.

საყურადღებოა, რომ ვახუშტის გეოგრაფიაში მოცემული ობიექტის აღნერილობასა და მის რუკაზე ასახულ იმავე ობიექტს შორის მკვეთრი იდენტურობაა დაცული. ანალოგიურ მიმართებაშია მისი ინფორმაცია თანამედროვე რუკებთან, მაგრამ ტოპონიმი „გიშის-ნყალი“ არსად არაა აღნიშნული, ხოლო მდ. გიშის-ნყლის (როგორც აღმოსავლეთის საზღვრის ხაზი) დაზუსტებაში ხელს გვიწყობს მდ. კიშჩაი (ანუ გიშის-ნყალი) და იმავე სახელწოდების კიში, „რომელი გამოსდის მასეუ კავკასია... და მოდის ჩრდილოდამ სამერით“ აღაზნის შესართავამდე, გიშისნყლის სახელით ყოფილა მაშინ ცნობილი. როგორც ჩანს, თანამედროვე მდ. აგრიჩაი, რომელიც მდ. ალაზანს უერთდება „მოსაბრუნის“ (იქვე) ადგილის ქვემოთ, გიშისნყალი ყოფილა. სავარაუდოა, ტოპონიმის დაკარგვა განაპირობა ტერიტორიის დაკარგვამ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი აღმდეგენი ელემენტები მდ. აგრიჩაის ზემო და ქვემო დინებაში მაინც შემორჩა „კიშჩაის“ და „უერმუხჩაის“ ნომინაციით.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ თანამედროვე რუკაზე ვახუშტისეულ აღნერილობასთან მისადაგებისას ქურმუხისნყალი, რომელიც „გიშისნყალს მიერთვის ჩრდილოდამ“, არ დასტურდება. 1:200000 მასშტაბის რუკაზე კი მდ. ქურმუხის ნყალი მდ. ალაზანს არ ერთვის, რადგან ქურმუხისნყლის გაგრძელებას დღეს აჯიჩაი ეწოდება. ეს თანამედროვე ზოგადპიდროგრაფიული ვითარება შესაბამისობაში მოდის ვახუშტისეულ აღნერილობასთან, მაგრამ მისი აღნერილობის ჭეშმარიტებაში მაშინ ვრნმუნდებით, როცა ვიყენებთ გასული საუკუნის მიწურულში გამოქვეყნებულ რუსულ ჩ-ვერსიან რუკას, სადაც დასტურდება, რომ „გიშის-ნყალს მიერთვის ჩრდილოდამ ქურმუხის-ნყალი“, რომელიც ქურმუხისხვის გამოზიდვის კონუსშე მოედინება მრავალ ტოტად.

ამგვარად, ვახუშტისეული ინფორმაციის საფუძველზე, საქართველოს საზღვარი აღმოსავლეთით ინყებოდა კავკასიონის ქედზე, მიუყვებოდა მდ. გიშისნყალს („კიშჩაის“) და მდ. აგრიჩაით მიდიოდა

მდ. ალაზნამდე, საიდანაც საზღვრის ხაზი მდ. ალაზანს დაუყვებულია
სამხრეთით, მდ. იურის შესართავამდე.



1.2. სამხრეთ-აღმოსავლეთი და სამხრეთი საზღვრები

ვახუშტის ცნობებით, ქართლის აღმოსავლეთი ნაწილისა და ვარდაბნის საერისთავოს ნაწილის საზღვრებია: „აღმოსავლეთით მტკერარი და, ხუნანის გამართებით, ბერდუჯის აღმოსავლეთის მცირე მთა“ (გვ. 49). ამასთან, „ნავების აღმოსავლით და სამერით არს ველი დიდი ყარაიბისა... ხოლო მტკერის კიდეთა ჭალა დიდი“ (1.გვ.50). ეს ტოპოგრაფიული აღნერილობა და საქართველოს ზოგად რუკაზე მოცემული საზღვრის კონტურები იმაზე მიგვანიშნებს, რომ მდინარეების: მტკვრის, იორის და ალაზნის შესაყარის აღმოსავლეთით საქართველოს საზღვრის ხაზი მოუყვებოდა მდ. მტკვარს დასავლეთით – „ბერდუჯის აღმოსავლეთის მცირე მთამდე“. აქ უკვე ყველაფერი გარკვეულია: მტკვრით მოხაზული საზღვრის ხაზი აღნევს იმ ადგილამდე, სადაც მტკვართან ბოლოვდება ბერდუჯად წოდებული „მცირე მთა“. აქედან იწყებოდა ყაზახისა და ქვემო ქართლის გამმიჯვნელი ხაზი, ხოლო როგორც შემდგომი აღნერილობით ირკვევა, ბერდუჯის მცირე მთის სამხრეთულ დაბოლოებასთან საქართველოს ესაზღვრებოდა „რანი“.

საზღვრის ამ მონაკვეთის დასადგენად ნაწილობრივ გამოგვადება საქართველოს სამხრეთი ნაწილის (ბამბაკის მიდამოების) საზღვრის ხაზის აღნერილობა: „ხომხითისა, ერუვნისა და ამისი გამყოფელი არს მთა დიდი, მაღალი და მარადის თოვლიანი, და კალთათა ტყიანი,... რომელი ნარივლის დახავლით არტანამდე, ხოლო აღმოსავლით რანსა და გელაქუნს შეა განვლის დახავლით არტანამდე, ხოლო აღმოსავლით რანსა და გელაქუნს შეა განვლის და ვიდრე რახსადმდე მივალს“ (1.გვ. 35). ე.ი. მთა, რომელიც გადაჭიმულია გოქჩის ტბასა და რანს შორის: „მთისა ამის სამერით კერძი ხომხით-ერუვნისა არს, ხოლო ჩრდილოთ კერძი ბერდუჯისა და რანისა, ...ხოლო მთა მცირე ბერდუჯისა ძეს ჩრდილოეთით და სამერით, და მიადგების ნინთქმულს ერუვნის მთას“ (იქვე).

თუმცა ვახუშტი მიგვანიშნებს „ნინთქმულს ერევნის მთას“ მა- გრამ ნინ იგი არსად არ იძლევა ამ დასახელებას, ხოური უშეულია. ॥ სომხით-ერევნის გამყოფ მთას ერევნისას უწოდებს (შემბუმუმქმედი ეპ რუკა). ტექსტში ასევე აღნიშნავს, რომ „აღმოსავლეთის კერძი მთისა ამისა არს რანისა, და დასავლით კერძი არს ბერდუჯისა“ (იქვე). ე.ი. ყაზახის შემდეგ, სამხრეთით, ბერდუჯე ესაზღვრება რანი და გამ- მიჯვნელ ხაზად კი გამოდის წყალგამყოფი ხაზი „მთა მცირე ბერდუ- ჯისა“ და შემდეგ საზღვრის ხაზი მოუყვებოდა ერევნის მთას სევანის ტბის ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, მაგრამ მდ. არაქსამდე ვერ აღწევდა. ამ მთას დღეს ბამბაკის ქედი ეწოდება.

ბამბაკის ქედის დაბოლოებიდან, საქართველოს სამხრეთული საზღვრის შემდგომი გაგრძელების შესახებ ვახუშტი აღნიშნავს, რომ „მთა ირჯვანისა და ან ყარალაჯად ნოდებული... ამ მთის დასავლით კერძ არს აბოცი, ან ყაიფულად ნოდებული, გარმოხვეული სრულიად მთითა და შუაში ვაკე, ... პალაკაციოსა და აბოცს შორის არს მთა აღბაბასი, და იგი მთა არს საზღვარი ქართლისა და ყარსისა, ვიდრე თეთრ-ციხეშდე და ტბაშდე ტაშალანისა“ (1.გვ. 38).

როგორც ვხედავთ, აბოცი ვაკე ადგილია და პალაკაციოსაგან გა- მოყოფილია აღბაბას მთით, რომელიც ქართლისა და ყარსის საზღვარი ყოფილა. ე.ი. პალაკაციო საქართველოს საზღვრის მიღმა ყოფილა მოქცეული. მეცნიერი აქაც არ არღვევს გეოგრაფიული აღ- ნერის ლოგიკურ თანმიმდევრობას და მთა აღბაბას დასახელების შემდეგ, საზღვრის ხაზის მიმართულებაზე სრული ნარმოდგენის შექმნის მიზნით, მიგვანიშნებს, რომ „იგი არს საზღვარი ქართლისა და ყარსისა, ვიდრე თეთრ-ციხეშდე და ტბაშდე ტაშალანისა“ (1.გვ. 38). ე.ი. თეთრ-ციხიდან მოყოლებული და ტაშალანის ტბის (ყოფილი არფა-გიორის ტბის) ავლით¹ და აღბაბას მთის თხემით, საზღვრის

¹ არფა-გიორის ტბა სომხეთის ტერიტორიაზე მდებარეობს და ამჟამად იგი მო- ქცეულია არციკლიფის წყალსაცავში. თანამედროვე ლიტერატურიში შეცემული ვახუშტის ტერიტორია გეოგრაფიან ინტერესურიციისას, ყოველგვარი კამენტარების გა- რემშე, არფა-გიორის ტბას მიმინევენ აბოცის ტბას (მარტივშვილი, 1956, გვ. 28), ხოლო ი. ჭავარის ტერიტორია ტბების ჩამოხატვალში, ასახულებს აბოცის ტბას, მაგრამ არ აღნიშნავს მის შესატყების თანამედროვე ტბას (1947, გვ. 54). უძდა შევნიშნოთ, რომ ვახუშტი საერთოდ არ ასახულებს თავის გეოგრაფიაში აბოცის ტბას. იგი შოთავდ აღინიშავს აბოცის დაბინ მცირე ტბას... (1.გვ. 130). ამ მიზნიშნებით აზუსტებს გეოგრაფიულ ფაქტს, თუ საიდან ინკუბა მდ. ახალქალაქისნაცალი — ...რომელი გა-

ხაზი მიდიოდა ნიალისყურის მთაზე, რომელიც ვრცელდება „ყარსის მთამდე ანუ ფოსოს ნყაროს-თავამდე, აღმოსავლეთზე და დასავლეთად“ (1.გვ. 131) და საზღვრის ხაზიც ნიალისყურის „მოსავარის“ გასდევს დასავლეთით და შემდეგ გადადის ყარსის ქედზე.

თუ ჩავთვლით, რომ ჩვენს მიერ ამ მონაკვეთზე აღწერილი საზღვრის ხაზის მიმდებარე ტერიტორიის ტოპოგრაფიული ფაქტები ვახუშტისეული აღწერის სწორი ინტერპრეტაციაა, მაშინ საზღვრის ხაზის მიმართულებაც დადგენილად უნდა ჩაითვალოს.

ყარსის ქედის (თანამედროვე სახელნოდების ალახიუკბერის ქედის) ნყალგამყოფ თხემზე გამავალი საზღვრის ხაზი ერთმანეთისაგან გამოყოფდა კოლასა და ყარსის რეგიონს. ვახუშტის სიტყვებით: „მზღვრის კოლას: აღმოსავლით მთა ყარსისა, რომელი მდებარებს ყალნუს მთიდამ ნიალის-ყურის მთამდე“ (1.გვ. 133). ე.ი. ყალნუს ანუ თანამედროვე სახელნოდების საგანლუს მთიდან (რომელიც ყარსის-ალახიუკბერის ქედის სამხრეთულ დაბოლოებას ემიჯნება დასავლეთური მხრიდან), სახლვრის ხაზი გადადიოდა ჩახირბაბას ქედზე, „ხოლო ოლთის-ნარიმანისა და იდის სამერით არს, ირიჯლუს მთას იქით, ბასიანი ... არს სომხითისა“ (1.გვ. 138). ირიჯლუს მთა თანამედროვე რუკებზე აღინიშნება სომხითის მთის სახელნოდებით.

საბოლოოდ, სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთური საზღვრის ხაზის დაზუსტების შემდეგ, ვახუშტი აღნიშნებს, რომ „სივრძე ქვეყნის არს ქართლის საზღვრიდამ ქართლის ყელამდე და ბაიბურდისა და ჭანეთის საზღვრამდე“ (1.გვ. 122). იგი ქართლის ყელს აიგივებს საქართველოს ყელთან და ხშირად გურჯი-ბოლაზის ხეობითაც მოიხსენიებს (1.გვ. 122, 141) და შემდეგ (როგორც თვითონ

მონაცემის აბოცის დაბის მცირე ტბას და მიერთების მცირედ მუნკე ხავეთის ტბასა... (იქევ). აბოცის დაბის მცირე ტბად ვახუშტი გოლის ტბას მიიჩნევს – ...მთა ნაბლიუდურისა, რომელი მდებარეობს გოლის ტბიდამ ანუ ბავეთდამ ყარსის მთამდე (1.გვ. 131). გოლის ტბა (დაცვანდები მაღალაფილი ტბა) და ხავეთის ტბა (დაცვანდები ბავეთაშემნი ტბა) ურთმანეთან ძალზე ახლოს მდებარეობენ. ღ. მარუაშელი კი ხავეთის ტბას აიგივებს გოლის ტბასთან, ხოლო ტამბაღის ტბას ცალკე გამოყოფს ჩამონათვალში (ხ.გვ. 54), როგორც ვერდავთ, ლიდა არის დარჩენილი არია-გოლის ტბის ვახუშტისეული სახელდების საკითხი. თუ ვიხელმძღვანელებთ ყარსისა და აბოცის შერის საზღვრის ხაზის ვახუშტისეული აღწერით, მაშინ დაურწმუნდებთ, რომ ტამბაღის ტბა იგივეა, რაც არია-გოლის ტბა.

აღნიშნავს): „...ეს ხევი არს საზღვარი, ბაიბურდის მთამდე, ხაქორთ-
ველოსა და ბერძენთა“ (1.გვ. 141).²

უკრიცხული
ბერძენი მიერა

1.3. სამხრეთ-დასავლეთი საზღვრები

სამხრეთ-დასავლეთი საზღვრების შესახებ ვახუშტი წერს: „...ჭანეთის მთასა იქით, არს ჭანეთი, და ან უნიდებენ ლაზესავე“ (1.გვ. 142), რომელიც ვრცელდება ტრაპიზონის საზღვრამდე – „...არს ესე მავის ზღვის კიდის ნადევნებით, ვონიდამ ტრაპიზონის საზ-
ღვრამდე“ (იქვე). ამ მონაკვეთზე საქართველოს საზღვრის ხაზის შესახებ იგი შენიშნავს, რომ „...არს ქალაქი მცირე რიზა, ზღვის კიდეზედ, მოერთვის მუნევე მდინარე მისივე ზღვასა, ... ხოლო ამის დასავლით ჩამოვარდების მცირე მთა, ენინდა ზღვამდე, ჭანეთის მთიდამ. და ესე არს საზღვარი საქართველოსი და საბერძნეთისა. აქ არს რეინის-პალი, აქავ არს სატყეპელა“ (იქვე). ამასთან, აღნიშნავს, რომ „ესე არს აღნერა ...ჩენილთა ადგილებთა, რომელნი იცნობიან რუკასა ზედა ამისსა“ (იქვე).

საზღვრის ხაზის ეს აღნერილობა იმდენად დეტალურია, რომ თანამედროვე რუკებზე ყოველგვარი გართულების გარეშე იყითხება შესაბამისი ადგილები. ვახუშტის აღნერით, „მცირე მთა“ რომელიც ჭანეთის მთიდან ზღვისეკნ ეშვება და თითქმის ზღვამდე მოდის, იწყება იმ უსახელო მნვერვალიდან, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 3478 მ-ია, ხოლო მთა „სატყეპელა“ „აქავ არს“, მთა რეინის პალოდან ჩრდილოეთით 6,5 კმ-ის მოშორებით; ეს მთა მიწნეული უნდა იქნეს სატყეპელას მთად, რადგან ამ მცირე მთის მნვერვალი – რეინის პალოს გავრძელებაზე (ნათლად გამოკვეთილი სხვა სიმაღლე) ტოპოგრაფიულ რუკაზე არ არის.

ეს მცირე წყალგამყოფი, რომელიც ჭანეთის მთიდან ეშვება, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი საზღვარია და მის თხემზე გამავალი საზღვრის ხაზი ეშვებოდა ზღვაზე მდ. კალპოტამოსის

² თანამედროვე ტოპოგრაფიულ რუკებზე „გურჯი-ბოლაზი“ აღნიშნულია, როგორც პუნქტი (გამაგრებული ადგილი) და მდებარეობს მდ. ყარასუს სათავეში ქ. თორითუ-
მიდან 22 კმ., ხოლო ქ. ერზორუმიდან ჩრდილოეთით, 28 კმ. მომორქებით.



შესართავის სამხრეთით, 3 კმ-ზე სოფ. ქელალისთან, რამეტუ აქ
მთავრდება ხსენებული „მცირე მთის“ თხემის დაბოლოება.³ უჩრავისული
ბეგული გორგა

1.4. ჩრდილო-დასავლეთის და ჩრდილო-აღმდებრის ხაზები

ვახუშტის აღნერილობით, ჩრდილო-დასავლეთით, XVIII ს. აფხა-
ზეთსა და ჯიქეთს შორის საზღვრად მდ. კაპეტისწყალი ყოფილა (1.გვ.
171). 1735 წლის რუკაზე ვერ ნერია „კაპეტის წყალი“, შემდეგ ხაზია
გასმული და აღნიშნულია „აქეთ ჯიქეთი“, ე.ი. ჯიქეთი უნდა ვიგულისხ-
მით აღნიშნული მდინარის იქით, ანუ ჩრდილო-დასავლეთით. თანამედ-
როვე რუკებზე კაპეტის წყალი არსად არ არის აღნიშნული, მაგრამ ამ
საკითხის დასაზუსტებლად შეიძლება გამოვიყენოთ შედარებითი ანალ-
იზი; მაგრამ საშუალებას იძლევა ვახუშტისა და თანამედროვე რუკები.

ვახუშტის რუკაზე (2.გვ.2), ბიჭვინთის დასავლეთით, ზღვას ერთვის
კაპეტის წყალი. თანამედროვე რუკებზე, ბიჭვინთის დასავლეთით, კაპ-
ეტის წყალი არსად არ არის აღნიშნული, მაგრამ ამ პუნქტის დასავ-
ლეთით, 7 კმ-ზე ზღვას ერთვის მდ. ბზიფი. მანძილის თვალსაზრისით
იგივე ვითარებაა ასახული ვახუშტის რუკაზეც. ასე რომ, მდ. კაპეტის
წყალი და მდ. ბზიფი ერთი და იგივე მდინარეა.

ვახუშტის აღნერით, ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი იყო
„...დასავლით ზღვა და კაპეტის მდინარე ...ჩრდილოთ მზღვრის მთა
სავკასი, სამერით ზღვა შვივი“ (1.გვ. 171), ხოლო ამ ტერიტორიის
გაგრძელებაზე „... ამ აფხაზეთს იქით, კაპეტის-წყლის დასავლეთს
... უნდებენ ჯიქეთს ... ამ ჯიქეთის ჩრდილოთ კერძოს, კავკასიის
მთის იქითს კერძოს ზღვამდე, ... და არს ადგილი ესე ყოვლითურთ
აფხაზეთისა“ (1.გვ. 172).

როგორც ვხედავთ, ვახუშტი თავისი ჩვეული მანერით აქ აღარ
ცდილობს ჯიქეთის დასავლეთით მოსაზღვრე ქვეყნის დეტალურ
დახასიათებას. უნდა ვივარაუდოთ, რომ ჯიქეთი ვრცელდებოდა
კავკასიონის მთავარ ქედამდე. ალბათ, ამას გულისხმობდა მეცნიერი,
როდესაც აღნიშნავდა: „კავკასიის მთის იქითს კერძოს ზღვამდე“ (1.გვ.

³ მდ. კაბალიტამისი და სოფ. ქელალისი, თურქეთის ტერიტორიაზე, რიზეს ვიღაიეთ-
მია შეკვეული.



172). ამ მონაკვეთზე ვახუშტი მხოლოდ ერთ პუნქტს – ნიკოფორის ურაგვერული ასახელებს.

ქართველი მეცნიერის აღნერილობით, ჩრდილოეთში საზღვარი, აფხაზეთის შემდეგ, აღმოსავლეთით სვანეთის ჩრდილოეთური საზღვრით არის მოხაზული და აქაც ის ბუნებრივ ზღუდეს მისდევს რაჭის საზღვრამდე. იგი აღნიშნავს, რომ „ჩრდილოთ დიდ-ყაბართ-ჩერქესა და ამას სვანეთს მორისი კავკასია“ (1.გვ. 172).

რაჭის აღნერისას ვახუშტი აღნიშნავს: „ჩრდილოთ მზღვის რაჭას კავკასი“ (1.გვ. 162). ე.ი. აფხაზეთიდან დაწყებული საქართველოს საზღვრის ხაზი რაჭის ჩრდილოეთ გაყოლებაზე მიუყვება კავკასიონის თხემს.

ხოლო შემდგომ აღნერს დვალეთს (ოვსეთს), რომელსაც აღმოსავლეთით აქვს თრუხესა და კევის საზღვარი, მერმე მყინვარის კავკასი და ახოტის კავკასი, რომელი ძენამ სამერიდამ ჩრდილოდ, და დახნევდების კევის ბოლოს მდინარესა ზედა ლომექსა, მერმე ლომექის მდინარე, ვიდრე ხეთაძე-ჩერქეზის მთამდე; სამერით მზღვის კავკასი, კევის-ყელიდამ ნარსული დასავლეთად, რომდო არს ბრუც-საბძელამდე, და ზეკარა, კედელა და რაჭა-დივორ-ბასიანს მორის კავკასი; ხოლო ჩრდილოთ ჩერქეზსა და მას მორის მთა მაღალი, და ... დასავლეთით მზღვრის კავკასივე რაჭასა და უღელეს მორის ...“ (1.გვ. 107-108).

თანამედროვე გაგებით ვახუშტის მიერ მითითებული დვალეთის ეს საზღვარი იქნება: ჩრდილოეთით მ. ადაიხოხის (4404 მ) გავლით ხაზი მიდის აღმოსავლეთისაკენ მთა ახოტამდე (4069 მ), შემდევ ეშვება მდ. არდონის ხეობაში, ვიდრე მიაღწევდეს მ. ტეპლის (4431 მ), გაივლის კურთათინის უღელტეხილ (3287 მ) და მიდის ხოხის ქედზე მ. სივერაუთამდე (3374 მ), ხოლო აღმოსავლეთიდან, სამხრეთიდან და დასავლეთიდან შემოფარგლულია კავკასიონის ქედის რეალით, რომელზეც განლაგებულია მთა ხოხი, უღელტეხილი როკა (2995 მ), ზეკარას და ბრუც-საბძლის მთა, მამისონის უღელტეხილი (2820 მ).⁴

დვალეთის დასავლეთით, საქართველოს ჩრდილო საზღვარს ვახუშტი ისევ კავკასიონის მთავარი ნყალგამყოფი ქედის თხემზე

* ეს ხიერცე, რომელიც მოუმართდა ჩურა საზღვრის მიღმა მდებარეობს, შეადგენს 566 კმ².
16

ატარებს. მხოლოდ დარიალის ხეობა თერგს „გველეთს ქვეით ერთ კის... არაგვისე კევი სამერ-აღმოსავლეთიდამ, გამოსდის ტუჭუმები რისა და ძურძუების კავკასია... ამ კევს ქვეით დავინწროვდების ყველა კლდითა, და აქა არს ციხე დავითისა... ამას ქვეით არს დარიელა არაგვის აღმოსავლით, კიდესა ზედა... ამას ქვეით ნახახახლევი მეფეთა“ (1.გვ. 67-68). „ხადა დაივაკებს მდინარე არაგვი ანუ ლომეცი, ამ არაგვს, ხეთაძის დაბის ზევით, ერთვის ქისტეთის-ნყალი და ძურძუებისა ... ხოლო სად იყრებიან ორნი ესე მდინარენი, მუნ არს შუაში ჯარიები“ (1.გვ. 117).

ქართველი მეცნიერის აღნერილობა იმდენად დეტალურია, რომ ყოველი დასახლებული პუნქტის და ადგილის პოვნა თანამედროვე რუკებზე ძნელი არ არის. ამაში მისივე შედგენილი რუკაც დიდად გვინყობს ხელს. ს. ქემით ლარსის ჩრდილოეთით თერგს მართლაც ერთვის მარჯვენა მხრიდან მდინარე, რომელიც 5-ვერსიან რუკაზე კისტინკადა მინიშნებული (თანამედროვე რუკაზე მას არმხი ეწოდება). დასახლებული პუნქტი ჯარიები ჯერაბოვსკოდ იწოდება, ხოლო თანამედროვე რუკაზე მდ. არმხის შესართავთან ასეთი დასახლების პუნქტი არ არის, მაგრამ მდ. არმხის აყოლებით, 5 კილომეტრზე აღნიშნულია სოფელი ჯარიახი. მის რუკაზე საქართველოს ტერიტორიის საზღვარი აქ სოლივითაა შეჭრილი, ხოლო მდ. ისტინკას ხეობა ყვითელი ფერითაა გამოყოფილი და მას ქისტეთი აწერია, ე.ი. საქართველოს აქ საზღვარი ედო იმ ქედის თხემის გაყოლებით, რომელიც მდ. არაგვის ხეობისაგან მდ. ქისტურას ხეობას გამოჰყოფს. თანამედროვე რუკაზე ამ ქედს ოხურის ქედი ეწოდება. ქედის ჩრდილო-დასავლეთურ დაბოლოებაზე „სად იყრებიან ორნი ესე მდინარენი, მუნ არს შუაში ჯარიები“ (1.გვ. 117). ე.ი. ეს იყო საქართველოს ტერიტორიის - ქართლის ნანილის უკიდურეს ჩრდილოეთით მდებარე ნერტილი.

საზღვრის ხაზის შემდგომ მიმართულებაზე ნარმოდგენას ვვაძლევს ვახუშტის განმარტება, რომ „ქისტეთ ზეით, არს ძურძუები ... ქისტ-ძურძუების აღმოსავლეთად არს ღლილვეთი“ (1.გვ. 118). უფრო აღმოსავლეთით, სადაც „კავკასის იქით, არს ნოვა; ნოვას ქვეით გომენარი და მის ქვეით ჩაღმა ... მზღვრის ორსავ თუშეთს: აღმოსავლით კავკასი ჰავარსა, ჩაჩანსა და ამას შორის ... ჩრდილოთ კავკასი“ (1.გვ. 104-105, 2. გვ.2).



ვახუშტის რუკისა და ამ აღნერილობის მიხედვით, და თანამედროვე რუკებითაც, კავკასიონს გადაღმა ორი ხეობაა გამოსახული – მდ. პირიქითი ალაზნის და თუშეთის ალაზნის, რომელთა შესართავის შემდეგ მდინარეს ენოდება ანდის-ყოისუ. ვახუშტის რუკით წოვა მიჩნეულია მდ. პირიქითი ალაზნის აუზად, ხოლო ჩაღმა – მდ. თუშეთის ალაზნის აუზად. ამ „ორსავ თუშეთს“ ამჟამად ჩრდილოეთით ესაზღვრება ჩეჩინეთი და საზღვრის ხაზი გადის თუშეთის ქედის გაყოლებით – აღმოსავლეთით. აქედან მოკიდებული, სამხრეთულ მიმართულებაზე, აღმოსავლეთის მხრიდან, რუკის მიხედვით, კახეთს ესაზღვრება დიდოეთი. მეცნიერის გეოგრაფიული აღნერილობით „დიდოეთი არს ლოპოტასა, გრემისა, შილდა-ყვარელის და ჭიაურის აღმოსავლით, კავკასიის მთის ჩრდილოთ კერძოსა შინა“ (1.გვ. 103). თანამედროვე ზოგადგეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, დიდოეთსა და კახეთს შორის საზღვარი გადის კავკასიონზე. საზღვრის ხაზის გაგრძელების თაობაზე ნარმოდგენას ვიქმნის მდინარე „ნეინის-წყალი“, რომელიც „გამოხდის ლეკეთსა და ამას შორის კავკასია“ (1.გვ. 98). ამასთან, ბელქნისწყლის, მანისწყლის და ქურმუხისწყლის დახასიათებით, რომლებიც კავკასიონის ქედიდან ჩამოედინებიან და მოქცეული არიან გიშისწყლის ჩრდილო-დასავლეთით, იმაზე მიგვანიშნებს, რომ გიშისწყალთან უკვე შეიკრა ვახუშტის შრომებში აღნერილი საქართველოს ტერიტორიის საზღვრები.

ამრიგად, ვახუშტისეული აღნერით, საქართველოს ტერიტორია და საზღვრები, თანამედროვე კარტოგრაფიული ინტერპრეტაციით, ასეთი სახის მოხაზულობას იღებს:

საქართველოს აღმოსავლეთით საზღვარი იწყება მდ. გიშისწყლის სათავიდან, მიუკვება მას მდ. ალაზნის შესართავამდე, შემდეგ მოდის სამხრეთისაკენ მდ. ალაზნის და მდ. იორის შესართავამდე; მდ. ალაზნის მტკვართან შესართავიდან საზღვრის ხაზი აღმა მიუკვება მდ. მტკვარს და მდ. აღსთაფას შესართავიდან მიდის სამხრეთით სევანის ქედამდე, გასდევს მის წყალგამყოფს ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, გადადის ბაზუმის ქედზე, მოდის ჯავახეთის ქედის სამხრეთულ დაბოლოებამდე და აქედან ჩილდირის ტბას უვლის სამხრეთიდან, მოუკვება ყარსის ქედს, გადადის მდ. ჭოროხისა და მდ. არაქსის წყალგამყოფ თხემზე, გადაკვეთს მდ. ჭოროხს და ადის პონ-

ტოს ქედზე, მთა რკინის პალოს გავლით, საზღვრის ხაზი მიდის ჩრდილო-დასავლეთისაკენ და ეშვება შავ ზღვაზე სოფ. ქელალისტუნი რული აქედან, შავი ზღვის სანაპიროს გაყოლებით ნიკოფესეს მეტამოზოგო მეტან ბაზდე საზღვრის ხაზი ადის კავკასიონის თხემზე, გადის იალბუზთან, მიდის მყინვარწვერზე; აქედან ეშვება არაგვის ხეობაში და მდ. ქისტურას მხრიდან კვლავ კავკასიონის ქედით გადადის თუშეთის ქედზე. უკანასკნელის აღმოსავლეთური დაბოლოებიდან ეშვება სამხრეთით და კახეთის კავკასიონის ნაკალგამყოფი ქედით მიდის აღმოსავლეთით მდ. გიშისწყლის სათავეებამდე, მთა ცაილახანზე (3546 გ.).


საქართველოს საზღვრები ვახუშტისეული აღნერილობითა და მისი რუკისეული ინფორმაციით, თანამედროვე ტოპოგრაფიულ რუკებზე პროექტირების გზით, შესაძლებელი გახდა შემოფარგლული ტერიტორიის გავრცელების გეოგრაფიული კოორდინატების განსაზღვრა და ფართობის დადგენა.

ამგვარად: ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, ისტორიული საქართველოს აღმოსავლეთით უკიდურესი ნერტილი მდებარეობდა ცაილახანის მთაზე (3546 გ.) – ჩ.გ. $41^{\circ}12'3$, ა.გ. $47^{\circ}21'30$. უკიდურეს ჩრდილოეთით – აუზბაშის უღელტეხილზე – „ჩ.გ. $43^{\circ}47'$, ა.გ. $42^{\circ}25'$; სამხრეთით – გ. ყარაგაბაზარზე (3133 გ) ჩ.გ. $40^{\circ}28'$, ა.გ. $41^{\circ}34'$; ჩრდილო-დასავლეთით ნიკოფესეს – ჩ.გ. $43^{\circ}58'$, ა.გ. $39^{\circ}13'$. საქართველოს ტერიტორიის ფართობი ამ საზღვრებში შეადგენდა 134 ათას კმ², ანუ თითქმის ორჯერ აღემატებოდა თანამედროვე საქართველოს საერთო ფართობს.⁵

საყურადღებოა, რომ ვახუშტის მიერ აღნერილი საქართველოს საზღვრებში მოქცეული შავი ზღვის სანაპირო ხაზის სიგრძე, სოფ. ქელალისიდან ნიკოფესემდე 545 კმ-ს შეადგენს, ხოლო სახმელეთო საზღვრის სიგრძე აღემატება 2000 კმ-ს. (იხ. სქემა 1.)

გეოდეზისტი ი. სტებნიცევი ნერს: „თუ მივიღებთ მხედველობაში რომ ვახუშტის რუკები შედგენილია არა აგეგმვის საფუძველზე, უნდა ვაღიაროთ, რომ ისინი სიზუსტის მხრივ, რამდენადაც ეს მოეთხოვება, საკმაოდ დამაკმაყოფილებელია“ (35 გვ. 363).

⁵ უფიქრობთ, რომ ვახუშტის თავის ზოგად რუკაზე ასახული უნდა პქონდეს ის ტერიტორია, რომელსაც ფლობდა საქართველო XII სა.



XVIII საუკუნის ბოლომდე და XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე რუსეთის იმპერია ფართოდ იყენებდა ვახუშტისეულ რუკებს ზოგიც უკუკი საფუძველზე ქმნიდა პირებს, რაც სამხრეთის ქვეყნებთან პროჭრობით გადასახლდა. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ რუსეთის სამხედრო-სამეცნიერო არქივში დაცული 1743 წლის საქართველოს რუკიდან (№505 «Иверская земля») გადაღებული ასლი და რუსეთის ელჩის ბურნაშევის მიერ 1784 წელს და ახალი ინფორმაციით 1780 წელს შედგენილი რუკები (22).

ამ რუკებზე მოცემული იყო საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა. ამ დაყოფის საფუძველს ნარმოადგენდა ვახუშტის რუკებზე მოცემული ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციები (ტაო, კლარჯეთი, შაუშეთი, ჯავახეთი და ხევა). ეს პროვინციები ქმნიდნენ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაყოფის საფუძველს.

1.5. საქართველოს ტერიტორია და საზღვრები 1801-1917 წწ.

1801 წლიდან საქართველოს რუსეთთან შეერთებამ გარკვეული ცვლილებები შეიტანა ქვეყნის ტერიტორიის საზღვრების მოხაზულობაში და ადმინისტრაციულ მიოწყობაში. რუსეთმა ერთმანეთის მიყოლებით გააუქმა სამეფო, საერისთავო და სათავადო მმართველობის სისტემა. შემოიღო მართვის რუსული სისტემა. შექმნა ქუთაისის და თბილისის გუბერნია, რომლებიც თავის მხრივ იყოფოდა მაზრებად, ორგანებად და საპოლიციო უბნებად.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ აღნიშნულ პერიოდში საქართველოს ტერიტორიის ფართობის შესახებ მონაცემები არ არსებობდა. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ რუკებზე გაზომვითი სამუშაოების ჩატარება არ ხდებოდა.

რუსეთმა, მოკიდა რა ფეხი კავკასიაში, 1801 წლიდან დაიწყო ტოპოგრაფიული და კარტოგრაფიული საქმის ორგანიზება ჩვენს ქვეყანაში. დასავლეთ ეკროპის გამოცდილებით აღჭურვილმა რუსეთის იმპერიამ ფრანგული და გერმანული ნარმოების კუთხმზომი ხელ-

საწყოებით პირველი მოსამზადებელი ტოპოგრაფიული საშეძაოების ჩასატარებლად მოავლინა სამხედროი ტოპოგრაფიული დოკუმენტების დროზე. 1802 წ. მათ უკვე შეადგინეს ქართლის ტერიტორიის. მისამართ ველი პირველი ორგერსიანი რუკა (1:210000 მასშტაბში). უფრო მაღალი სიზუსტის კარტოგრაფიული პროდუქციის შექმნას საფუძველი დაედო 1846-1847 ნლებიდან და ამ საქმის ხელმძღვანელობა დაეკისრა სამხედრო ტოპოგრაფის ი. ხოძელს (35).

XIX საუკუნის ორმოცდაათიან ნლებში შეიქმნა 5 ვერსიანი რუკები და მათზე უკვე ზუსტად გამოყენების ტერიტორიები და საზღვრები. ჩატარდა კარტომეტრიული სამუშაოები გუბერნიების, ოკრუგებისა და მაზრების ტერიტორიების ფართობების გაზომვის მიზნით.

1801 ნლის მდგომარეობით შედგენილი კავკასიის ზოგადი რუკის მიხედვით ახალციხის, ახალქალაქის, აჭარის, არდაგანის და ართვინის ტერიტორიები საქართველოს საზღვრების მიღმაა დატოვებული და დაქვემდებარებულია თურქეთის საფაშოებისადმი, ხოლო განჯის, შამშადილის ტერიტორიები ირანის სახალოებმა. 1828 ნლის რუკაზე თითქმის ზემოთ აღნიშნულის ანალოგიური სურათია ასახული, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ შამშადილისა და განჯის ტერიტორიები ნაჩვენებია საქართველოს შემადგენლობაში. საყურადღებოა, რომ ამ კარტოგრაფიულ წყაროებზე არსად არ არის ცალკე სახელდებული ჭარბელაქანის ტერიტორია, მაგრამ 1801 წ. მონაცემებით ცალკე კონტურითაა მინიშნებული ჭარისა და კახის დასახლებული პუნქტები. 1828 წ. რუკაზე კი მინიშნებულია – ლეკები (იხ.დან 4, სქ.2.)

1886 წელს კავკასიის სამხედრო-ტოპოგრაფიული განყოფილების სამხედრო კოპუსის ტოპოგრაფია, პოდპოლკოვნიკმა ნ.პ. ვინიკოვმა გამოთვალა კავკასიის ტერიტორიის გუბერნიების, მაზრების, ოკრუგების და საპოლიციო უბნების ფართობები. ჯამში რუსეთის იმპერიაში გაერთიანებული საქართველოს საერაუდო ტერიტორიის ფართობი XIX საუკუნის ბოლოსთვის შეადგენდა 102.0 ათას კმ²-ს. ამ ფაქტს ადასტურებს საქართველოს სსრ ატლასში მოთავსებული XIX საუკუნის ბოლოსათვის არსებული ვითარების რუკა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ბადეც (14, გვ. 261-262). ხოლო თუ საქართველოს ადმინისტრაციული ერთეულის ნაწილად არ ჩავთვლით

ყარსის მხარეში გაერთიანებულ მხოლოდ ყარსისა და ყალიბმარის ოკუნუგებს, მაშინ საქართველოს ტერიტორიის ფართობი იქნება 918,4 კმ² 2016 წელი.

1900 წელს იგივე პირველიამ 5-ვერსიან რუკებზე განმეორებული ფართობი და ყარსის და ყალიბმენის ოკუნუგების გარეშე ფართობმა შეადგინა 89,755 კმ². აღნიშნული სამუშაოს შედეგები მოვანილია 1 ცხრილში.

რუსეთის კოლონიების და მათ შორის ქართული მიწების პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაყოფა ნაკლებად ითვალისწინებდა ისტორიულ-ეთნიკურ თავისებურებებს და ძირითადად ხელსაყრელი კოლონიალურ-პოლიტიკური მართვის პრინციპებს ემყარებოდა. ამასთან, რასაცვირველია, საერთოდ იგნორირებული იყო ანექსირებული მიწების – ყოფილი სახელმწიფოების ტერიტორიული ნიშნები.

ამიტომ დემილიტაციის დროს საზღვრებზე საუბრისას, მაშინდელ ტოპოგრაფიულ რუკებზე, მოცემული გუბერნიების, მხარეების, მაზრების და საპოლიციო უბნების გამმიჯვნელი ხაზები იურიდიული ძალის მქონე არგუმენტად ყოველთვის ვერ გამოდგება. თუ ისტორიული ნაკრობის საფუძველზე შედგენილი თანამედროვე რუკებით ვისარგებლებთ და მათზე ჩავატარებთ კარტომეტრიულ სამუშაოებს, მაშინ შეიძლება დადგინდეს საქართველოს ტერიტორიის ფართობის ტრანსფორმაციის საინტერესო სურათი.⁶

ძ. წ. ა. I-ლა/ათასწლეულის მეორე ნახევარში საქართველოს ტერიტორიის ფართობი შეადგინდა 140,4 ათას კმ², I-IV საუკუნეებში 134,2 ათას კმ², IX-X საუკუნეებში – 131,0 ათას კმ², XIII ს. დასახუისში – 205,3 ათას კმ².⁷ XVII ს. მეორე ნახევარში - 133,1 ათას კმ², XIX ს. ბოლოსათვის (1886 ს. მიხედვით) - 102,0 ათას კმ²(იხ. დან. 4, სქ. 1)

⁶ ეს სამუშაო ჩატარებულია საქართველოს სსრ ატლასში მოთავსებულ ისტორიულ რეკუპერაციულ რუკებზე (14).

⁷ მაჩვენებლებმა შედის ამ პერიოდში შემოერთებული ტერიტორიების ფართობებიც. მათ შოლზე მოდის 30,2%-ი.



ტერიტორიის ადმინისტრაციული დაყოფა (1900 წ. მდგომარეობაზე)
გეგმული გეგმით

	გუბერნიები, მაზრები, მხარეები, ოკრუგები	ტერიტორიის ფარ- თობი კმ ²
1	2	3
I თბილისის გუბერნია		
1	ქ. თბილისის მაზრა	4556,64
2	ახალქალაქის მაზრა	2739,16
3	ახალციხის მაზრა	2653,79
4	ბორჩალოს (მარნეულის) მაზრა	6870,06
5	გორის მაზრა	6836,60
6	დუშეთის მაზრა	3882,63
7	ხილალის მაზრა	6022,06
8	თელავის მაზრა	2461,39
9	თიანეთის მაზრა	4836,57
	სულ გუბერნიაში	40858,97
II ქუთაისის გუბერნია		
1	ქ. ქუთაისის მაზრა	3462,50
2	ზუგდიდის მაზრა	2670,24
3	ლეჩხუმის მაზრა	4872,78
4	ოზურგეთის მაზრა	2161,11
5	რაჭის მაზრა	2818,35
6	სენაკის მაზრა	2127,14
7	შორაპანის მაზრა	2980,82
	სულ გუბერნიაში	21092,94
III	სოხუმის ოკრუგი	8254,22
IV	ბათუმის ოკრუგი	3703,45
V	ართვინის ოკრუგი	3271,85
VI	ზაქათალას ოკრუგი	3985,55
	სულ ოკრუგებში	19215,87
VII ყარსის მხარე		
1	ქ. ყარსის ოკრუგი	5785,37

1	2	3
2	ყალიბმანის ოკრუგი	4373,53 ურთიერთობი
3	არდაგანის ოკრუგი	5604,54 ბერძნობისა
4	ოლთისის ოკრუგი	2983,00
	სულ მხარეში	18746,44
	სულ ტერიტორია	99914,16,3 ²

ხსენებული ატლასიდან ისტორიული რუკების საფუძველზე
შედგენილი სქემები (იხ. დან. 4 სქემა 3, 4) კარგად ასახავს საქართ-
ველოს ტერიტორიის საზღვრების მოხაზულობის იმ დინამიკას, რო-
მელიც XIX საუკუნის ბოლომდე მიმდინარეობდა. ირკვევა, რომ
ძირითადად საქართველოს ტერიტორიის ისტორიული ფართობი 130-
135 ათასი კმ²-ის ფარგლებში ვარირებს და გარკვეული სტაბილურო-
ბითაც ხასიათდებოდა.

რუსეთთან ტრაქტატის დადებისას – (1783 წ.) ერეულე მეორე
სამართლიანად მოიხსენებდა მტრის მიერ მიტაცებული ამ ქართული
მიწების შემოერთებას.

ამ მოხსენენდან 45 წლის შემდეგ 1828 წლის რუსეთ-ოსმალეთის
ომის შედეგად საქართველოს ფარგლებში მოექცა ქობლიანი, ოძრახე
(აბასთუმანი), ახალციხე, აწყური, ასპინძა, ხერთვისი, ახალქალაქი,
ჭარმავი, ფოცხოვი და აბოცი (პალაკაციო) და ერუშეთი.

შემდეგში, 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად,
პარიზის საზავო ხელშეკრულებით (მუხ. 58), შემოერთებული იქნა
აჭარა-ქობლეთი, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა—არტაანი და ტაოს
ჩრდილო ნანილი-ოლტისი. საზღვრის მიღმა დარჩა ჭანეთი (ანუ
ლიზისტანი) და ჭოროხის ზემო ნელში მდებარე ნანილი.

ექ. თაყაიშვილის ცნობით, 1878 წლის ბერლინის ტრაქტატის
ძალით რუსეთის მთავრობამ ტერიტორია გაპყო, ყარსისა და ბა-
თუმის აღმინისტრაციულ ოლქად. ყარსის ოლქს შეადგენდა ოკ-
რუგები ყარსისა, ყალიბმანისა, არდაგანისა და ოლთისისა. ისტო-
რიულად და ეთნოგრაფიულად ყარსის და ყალიბმანის ოკრუგები
ეკუთვნოდა სომხეთს, არდაგანისა და ოლთისისა-საქართველოს.
ოლთისის ოკრუგი ხელოვნურად იყო მიწრილი ყარსის ოლქზე-
გეოგრაფიულად ის უნდა შესულიყო ბათუმის ოლქში, ვინაიდან მო-

ქცეულია ჭოროხის შემდინარე ოლთისის ნყლის არემარეში, და ჭოროხი კი ეკუთვნის შავი ზღვის აუზს, ხოლო ყარსტსაჭარბულებელი რუგები ეკუთვნიან კასპიის ზღვის აუზებს. არდაგანისტერუგემს შემცირებით ნარმოადგენს ზეგანის პლატოს, გაყოფილი იყო უბნებად (უჩასტეკებად): ჩილდირის, არდაგანის, გელისა და ფოცხოვის უბნებად (უჩასტეკებად). პირველი სამი მდებარეობს მტკვრის ზემო ნელში, ხოლო ფოცხოვის უბანი ფოცხოვის ნეკლზე. ისიც ხელოვნურად იყო მიწერილი არდაგანის ოკუგზე, ვინაიდან გეოგრაფიულად ფოცხოვი სრულიად არ შეადგენდა არდაგანის ზეგანის პლატოს ნანილს, არამედ ეკუთვნის ახალციხის ტერასას და შეიცავს ფოცხოვის ნყლის აუზის ნანილს (9).

ზემოთ აღნიშნული ინფორმაციით საქართველოს სამხრეთ-დასავლეთური უბნის სასაზღვრო ხაზი მთლიანობაში შემდეგ მოხაზულობას დებულობდა: ამ უბნის უკიდურეს აღმოსავლეთურ წერტილიდან – ხოუ. გულთაშენიდან (იხ. პარაგრაფი 1.2), საზღვარი მიემართებოდა ჩილდირის ტბის სამხრეთით მნვერვალ დიდ ახბაბამდე (3042 მ.) და ჩილდირის ტბის სამხრეთით ხოუ. დაშაბაშის გავლით სამხრეთიდან უვლიდა ლავაშის ტბას და იქვე, უსახელო მდინარის ხეობით მიემართებოდა ჩილდირ-დასავლეთით ჩილდირის ქედზე მდებარე უსახელო მნვერვალამდე – 3125 მ. (x=4540000, y=8337800), და ეშვებოდა სამხრეთ-დასავლეთით სოკალთუთანის უღელტეხილზე (2240 მ.), საიდანაც ნყალგამყოფი სერით მ. ბუღას (27180) გავლით მიემართებოდა ალახიუებერის (ყარსის)⁸ ქედის სერით სამხრეთ-დასავლეთისაკენ, უღელტეხილ ეძაკმეიდანის (2468 მ.) გავლით მ. გუმბრზე (კუმრი 2845 მ.) საიდანაც ნყალგამყოფი თხემით გადადიოდა მ. სოგანლიდაგამდე (2805 მ.) და აქედან ხანის უღელტეხილის გავლით საზღვრის ხაზი სამხრეთ-დასავლეთით მიუყვებოდა ჩახიტრბაბა (ბაბას) თხემს და აღიოდა მ. ოიუკტაშზე (2852 მ.). შემდეგ საზღვარი მიუყვებოდა მის თხემს და მიემართებოდა მდ. არაქსის აუზისა და მდ. ჭოროხის შემდინარეების – თორთუმის და ოლთისის ნყალგამყოფ თხემზე მდებარე მნვერვალების: კაბიჩანის (2667 მ.),

⁸ ფრჩხილუბერი ჩასხმულია 5 ვერსიის რუკაზე აღნიშნული საკუთარი სახელმწიფო აქტების შემდგომში გეოგრაფიული სახელები ტექსტში მოცემულია რუკებზე ასახული ტრანსკრიპციით.

ყარაპაზარის (3133 მ.), კუშკუშლა-ობაზის (3147 მ.), ონუსბაბაქს (3248 მ.) და უღელტეხილ ხორტოკის (3045 მ.) სამხრეთ-დასავლეთუფრგმინული მართულებით მწვერვალ სულაკის (2978 მ.) გავლით და წყალგარეული მართულებით (რომელსაც ივ. ჯავახიშვილი მესხეთის მთის სახელით მოიხსენიებს)⁹ კვეთავდა მდ. ჭოროხს (ხოფ. ხოფისტასა და ქიფაისს შორის) და ადიოდა პონტოს ქედის სერზე, სადაც ლაზისტანის საზღვარი იყო. აქედან მთა „რკინის პალოს“ - 3478 მ.¹⁰ (აღ.გრ. 40° 28', ჩ.გ. 40°32') გავლით საზღვარი მიემართება ჩრდილო-ჩრდილო-დასავლეთისაკენ და მდ. კოლოპოტამოსის (კალაპოტამოსის) და მაქის (მაკის) წყალგამყოფი სერის შემდეგ საზღვარი ეშვება შავზღვაზე, დასახლება ოფის ჩრდილო-აღმოსავლეთით 5 კმ-ში ხოფ. კელალისთან (იხ. დან. 4. სქემა 3).

აქედან ზღვის სანაპიროთი მანძილი ბათუმამდე 150 კმ-იყო, ხოლო მთლიანად კი ხმელეთით ფსოუმდე იგი 467 კმ-ს შეადგენდა.

საბოლოოდ, პარიზის საზაოვო ხელშეერულების მიხედვით, ამ უბანში საქართველოს თანამედროვე საზღვრებს გარეთ მოქცეული ძირძველი ქართული მიწები, ფართობების მიხედვით, შეადგენდა: ლაზისტანის -3925 კმ², ართვინის -2933 კმ², არდაგანის -5724 კმ², ოლთისის -3040 კმ².

⁹ იხ. 1923 წ. გამოცემული „საქართველოს ისტორიული რუკა“

¹⁰ 5 ვერსიან რუკაზე და ახალ რუკებზე ეს მთა უსახელოა. ამ სახელით მას იმონმდება ვახუშტი თავის მრომაში „აღნურა სამეფოსა საქართველოსა“ (1, გვ. 142).



ეროვნული
საქართველოს ტერიტორიის და საზღვრების ცენტრულმა ინსტიტუტი
დოკუმენტებისა და კანტოგრაფიული წყაროების ანალიზი
(1918 წლიდან 1960 წლიმდე)

2.1. საქართველოს ტერიტორიისა და საზღვრების პრობლემა 1918-1921 წლებში

1918 წლის 26 მაისს საქართველომ გამოაცხადა თავისი სახელმწიფო ბრიტანიული დამოუკიდებლობა. ამან წარმოშვა საზღვრების საკითხიც, რამეთუ საქართველო ტერიტორიულად უნდა გამიჯნულიყო რუსეთის, თურქეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანისაგან. 1918 წლის 11 ივნისს შეიქმნა საზღვრების დამდგრენი კომისია. მის შემადგენლობაში იყვნენ კაკი წერეთელი, დავით ონიაშვილი, პავლე ინგოროვა და გენერალი ოდიშელიძე. კომისიის დასკვნით საქართველოს საზღვარი გადიოდა მცირე კავკასიონის ქედზე, მიუყვებოდა ბორჩალოს მაზრის სამხრეთულ საზღვარს, გადადიოდა გოგიას ტბის ჩრდილოეთით წყალგამყოფ ქედზე, უხვევდა ჩრდილო აღმოსავლეთით მდ. ალტაფაზე მიღიოდა სადგურ ძეგამდე, მოიცავდა საინგილოს.

ამ პრობლემამ უფრო მნეავე ხასიათი მიღია ერობის („ზემსტვო“) შემოღების დროს. მაშინდელი პოლიტიკური პარტიები დიდი დავის შემდეგ მივიღნენ დასკვნამდე, რომ საერობო ტერიტორიების შემოხაზეისას უნდა ეხელმძღვანელათ მოცემულ ტერიტორიაზე დამაგრებული მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობით. მაგალითად იქ სადაც ქართულ ტერიტორიაზე სახლობდა სომხობა, იგი სომხურ ერობას უნდა მიუკავნებოდა. ამ ნიშნის გარდა გამოყენებული იყო მოსახლეობის სარწმუნოებაც. წარმოშვა კამათიც (18).

საბოლოოდ მოხდა ის, რომ საქართველომ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა, ყოველმა ცალ-ცალკე, პარიზის კონფერენციისათვის შექმნეს პრეტენზიული შინაარსის მქონე რუკები. 1919 წელს პარიზის საერთაშორისო სამშეიდობო კონფერენციაზე თავი მოიყარეს დელეგატებმა.



საქართველოს მხრიდან დელეგაციის წევრები იყვნენ: კარლო ჩხეიძე, უზენაშე უფრო მეტი ბელმდვანელი. კაი წერეთელი, ივანე ჯავახიშვილი, ზურაბ გვალიშვილი ვილი და სხვები.

საზღვრების შესახებ ქართულმა დელეგაციამ შემდეგი დოკუმენტი წარმოადგინა:

Приложение

Границы Грузии А. Описание

Сухопутная граница Грузии начинается на восточном побережье Черного моря у устья маленькой речки Макопсе, расположенной в 14 км к юго-востоку от г. Туапсе.

Следуя вверх по течению р. Макопсе, граница проходит по горе Псеушко, с которой стекает эта река, и оттуда продолжается на северо-восток вдоль гребня гор, который отходит от главного хребта Большого Кавказа и создает водораздел между бассейнами р. Туапсе и Аше, впадающих в Черное море.

На севере граница Грузии идет вдоль главного хребта Большого Кавказа, не прерываясь на юго-восток, вплоть до массива Адай-Хох.

За Адай-Хохом граница пересекает р. Ардон у ущелья Касар (недалеко от источника, известного под названием Тазанити и продолжает на восток по Главному хребту Большого Кавказа, по вершинам гор Тепли (Архонский массив) и Казбег.

На этой высоте граница направляется на север, проходит через горы Чач-Хох и Кайджани и пересекает р. Терек в 5 км к северу от станции Ларс напротив маленькой деревни Озми, расположенной на правом берегу реки.

На правом берегу р. Терек граница идет вдоль р. Аркмехи, маленького притока р. Терек, до деревни Лиаджи. Здесь граница поворачивает на юг, проходя по возвышенности правого берега р. Архма (приток р. Аркмехи) до горы Мальчоче-Корт.

Отсюда граница продолжается на юго-восток по хребту Большого Кавказа до горы Кара-Кайа, проходя по древней границе между



Тифлисской Губернией, с одной стороны, и территориями Терека и
Дагестана, с другой.

Далее граница Грузии следует по древним границам между Закатальским округом и районом г. Нуха, сворачивает к югу и идет по течению р. Качка-Чай, притоку р. Агричай, вплоть до слияния последней с рекой Алазани.

Отсюда грузинская граница направляется на юг по р. Алазани до р. Куры, отсюда она снова поднимается, принимает направление на северо-запад до слияния с р. Храми. Затем граница Грузии идет вдоль древней границы между районом Борчalo (Тифлисская губерния) и Казахи (Елизаветпольская губерния), проходит цепь гор Передового Кавказа, составляющих линию водораздела между бассейнами р. Дебеда-Чай и Акстрафа (гора Зикатари, гора Чатин-Даг, гора Соук-Булаг) и дальше на северо-запад до горы Бешекечемас.

Отсюда граница следует вдоль старой границы между Тифлисской и Ереванской губерниями на северо-запад и пересекает р. Бамбак между станицами Чагали и Караклис; затем продолжается по хребту Бесобдал к северо-западу по горам Карагач и Леглидаг, по гребню Мокрых гор.

От Леглидага граница направляется на запад по горам Мадатапан, к югу от озера Мадатапан, затем продолжается до Уч-Тапалана, откуда сворачивает на юг, обходит озеро Чалдил, проходя по вершинам Ачк-Баба и Кисир-Даг, далее по границе между территориями Арлагана и Карса.

От Кисир-Дага граница Грузии направляется на юго-запад по линии водораздела между бассейнами р. Кура (на грузинской территории) и Аркса (на армянской территории). Она проходит по горам Бугатапа, Кабахтапа и Кон; затем по хребту Соганлуг, разделяющему бассейны р. Чорох и Аракса, идет по старой русско-турецкой границе.

На турецкой территории грузинская граница идет на юго-запад, проходит по хребту Чахир-баба, водоразделу между бассейнами верховьев р. Аракса и Олти-Чай (приток р. Чорох).

От горы Оскан граница следует на запад по хребтам Думлудаг, Казан-Бачи и Кортикдаг, огибает с севера верховье Чороха, которое остается за ее пределами, поднимается вверх по Испири, немного на запад от монастыря Килисакалу до деревни Маден.

ეხლა განვიხილოთ ის, თუ აღნიშნული დადგენილებით საზღვრის ხაზმა როგორი ხასიათი მიიღო: დადგინდა საზღვარი გარეჯიდან მდ. მტკვრამდე. ამ მონაკვეთზე საზღვრის ხაზი გატარდა შიხლიკარავან-ელის უღელტეხილზე გამავალი გზის პირას მდებარე ბორცვიდან (ჩ.გ. 41°27'30", ა.გ. 45°27'30"), შემდეგ იგი გადიოდა ორ ბორცვზე (ჩ.გ. 41°26'10" ა.გ. 45°26'03"; ჩ.გ. 41°25'48", ა.გ. 45°24'49"); შემდეგ თვალ-საჩინო ნერტილიდან (ჩ.გ. 41°25'45"25, ა.გ. 45°22'44"); გავლით და შემდგომ ჩიჩხილურის სერსა და ცალკე მდგარ კოშკზე (ჩ.გ. 41°27'31"25, ა.გ. 45°21'21"20) გამავალი მთავრდებოდა ბორცვზე (ჩ.გ. 41°28'27"25, ა.გ. 45°19'19"42). აღნიშნულის საფუძველზე აქ საქართველომ მიიღო მხოლოდ 2000 დესეტინა მიწის ფართობი. ამასთან ერთად თბილისის მაზრას გადაეცა ის საკამათო ორი ფართობიც (340, 300 დესეტინა).

შემდგომ, საზღვრის ხაზი ჯანდარის ტბიდან გადადიოდა 17-ე სარწყავი არხის საწყისზე და ამ არხის გაგრძელებაზე სწორხაზოვნად მიდიოდა მდ. მტკვარამდე. საზღვრის ამ მონაკვეთზე მთავარ ნიშნულებს წარმოადგენდა ჩ.გ. 41°28'27"25, ა.გ.რ. 45°18'42", შემდეგ საზღვარი მიუყვებოდა გზას ბორცვამდე (ჩ.გ. 41°27'50"79, ა.გ.

⁴⁰ უახლესი ისტორიის არქივი. ფონ. 607, ან 1, საქ. 2531 გვ. 29-30.

45°17'36"). შემდეგ ხრამით მიემართებოდა დანიდაგის ბორცვზე დას-
მულ ტრიგონომეტრიულ პუნქტამდე ჩ.გ. 41°27'51"79 ა.გ. 45°15'56"34 წერტული
და ხეობით გადიოდა წერტილებზე (ჩ.გ. 41°27'39"7, ა.გ. 45°15'05" ჰიდრომეტრ
41°27'15"5, ა.გ. 45°14'57"; ჩ.გ. 41°26'56"5, ა.გ. 45°14'46"; ჩ.გ. 41°26'31",
ა.გ. 45°14'21"), შემდეგ ჯანდარის ნაპირას მდებარე წერტილიდან –
ჩ.გ. 41°26'29"5, ა.გ. 45°14'15", პირდაპირი ხაზით კვეთდა ტბას და 17-ე
არხის დასაწყისიდან – ჩ.გ. 41°15'29" ა.გ. 45°12'18"3, მისივე მიმარ-
თულებით და ბორცვის (ჩ.გ. 41°25'06"6, ა.გ. 45°11'41"3) ავლით,
თითქმის 17-ე არხის ბოლოდან, უკვე მიემართებოდა მდ. მტკვარამდე
(ჩ.გ. 41°20'46"2, ა.გ. 45°05'56").⁴¹ იხ. დან. 4. სქ. 7.8.

ხოლო ელდარის სტეპის დასაწყისიდან ხოფ. კესამანიდან აღმო-
სავლეთით, საზღვრის ხაზის მიმართულებაზე ნარმოდგენას გვაძ-
ლევს 4 ცხრილში მოყვანილი წერტილების კოორდინატები.

ამიერკავკასიაში მინების აღრიცხვის სამუშაოების დამთავრების
შემდეგ 1938 წლის 23 მარტს, ამიერკავკასიის რესპუბლიკების
ხელმძღვანელთა თათბირზე საპილოოდ დამტკიცდა საქართველოსა
და აზერბაიჯანს შორის საზღვრის ხაზი, მაგრამ დოკუმენტებსა და
კარტოგრაფიულ ნყაროებს შორის არის შეუსაბამობა. მაგალითი-
სათვის მოვიყვანთ წითელი ხიდის უბანს (იხ. დან. 4., სქემა 9), სადაც
1938 წ. შეთანხმებას ეთანადრება მხოლოდ სახელმწიფო საზღვრის
პირობითი ნიშნებით მონიშნული ხაზი, რომელიც დღეს რუკებზე არ
არის და არის მხოლოდ მეორე ნიშნით გამოსახული საზღვრის ხაზი.

ცხრილი 4

საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთური საზღვრის ხაზის წერ-
ტილების კოორდინატები (1929 წ. მიხედვით)⁴²

ათველილი კოორდინატები გრინზი- ჩის მერიდიანიდან			შენიშვნა
1	2	3	4
1	41°11'36"75	45°15'51"	
2	41°11'13"	45°17'07"	
3	41°10'40"	45°17'51"	

⁴¹ უახლესი ისტორიის არქივის ფონ. 607, ან 1 საქ. 2531, გვ. 29.

⁴² კოორდინატები განსაზღვრულია უკრსიან რუკაზე.



4	41°10'28"	46°17'51"	
5	41°09'42"6	46°18'31"50	9.4.1363.000
6	41°09'42"5	46°18'34"	9.4.1363.000
7	41°09'27"25	46°19'29"	
8	41°09'09"05	46°19'39"	
9	41°09'06"25	46°19'45"	
10	41°08'57"5	46°19'46"	
11	41°08'45"5	46°20'12"	
12	41°08'34"	46°20'28"	
13	41°08'22"5	46°20'44"	
14	41°11'05"	46°20'49"	
15	41°07'59"	46°21'46"	
16	41°07'46"	46°21'34"	
17	41°07'34"	46°21'51"	
18	41°07'22"	46°22'07"	
19	41°07'10"	46°22'23"	
20	41°06'57"5	46°22'20"	
21	41°06'43"5	46°26'47"	
22	41°06'22"5	46°22'14"	ბურუნკავას. სარწ. არხი
23	41°06'13"5	46°22'06"	
24	41°06'24"5	46°26'38"	
25	41°06'32"5	46°25'49"	
1	2	3	4
26	41°05'56"	46°27'37"	
27	41°04'18"	46°28'16"	
28	41°33'17"5	46°29'38"	
29	41°03'19"	46°29'49"	
30	41°06'17"68	46°32'30"20	დუშტაგან-ბაში ტრიგ. ნ.
31	41°06'52"4	46°32'05"	
32	41°06'48"	46°33'17"	
33	41°06'49"5	46°23'49"	მდ. ლეკი-წყლის ნაპირას
34	41°05'45"5	46°38'12"	
35	41°06'06"75	46°37'25"	

36	41°06'15"	46°37'45"	
37	41°06'25"	46°38'05"	
38	41°06'29"	46°38'20"	
39	41°06'30"5	46°38'43"	ალაზნის მარჯვ. სანაპირო



2.4. უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთური ხაზღვარი

1922 წ. 12 მარტს, ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნამ და საქართველოს ტერიტორიის საზღვრის გატარებისას სამეცნიერო ტერიტორიებად დაყოფის პრინციპის გამოყენებამ დიდად შეუწყო ხელი ქართული მინების ხელყოფას.

ჯერ კიდევ, 1921 წ. როდესაც ეთნიკური გამიჯვნის მიზნით აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შეიქმნა, საზღვრის ხაზი გატარებული იქნა მდ. ხოლოდნაია რეჩქაზე, შემდეგ ივი ადიოდა წყალგამყოფ თხემზე, მიუკვებოდა მას და მ.არაბიების (2656 მ.) გალით და გავრის ქედით მიემართებოდა მ.აგეფსტაზე (3256 მ.), საიდანაც აცეტუკას ქედით და ახუნდარას გადასასვლელის გავლით ადიოდა კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე.

საზღვრის ხაზის ასეთი მიმართულებაა დატანილი 1930-1931 წლებში გამოცემულ საქართველოს და ამიერკავკასიის ფედერაციულ რესპუბლიკის რუკებზე. ე.ი. მდ. ხოლოდნაია რეჩქასა და მდ. ენგურზე გამავალ საზღვრის ხაზს შორის მოქცეული იყო აფხაზეთის სსრ. 1931 წლისათვის აფხაზეთის ეს სტატუსი უკვე გაუქმდა და გადაკეთდა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკად.

საქართველოს მთავრობის მოთხოვნით, ყოველგვარი სადემარკაციო და სადელიმიტაციო შეთანხმების გარეშე, უბრალო აქტით, რსფსრსა და საქართველოს შორის საზღვრის ხაზი აქ გადაწეული იქნა მდ. ფსოუზე.

2.5. ჩრდილოეთური ხაზღვარი

თუ რევოლუციამდე საქართველოს ჩრდილოეთური საზღვარი კავკასიონზე შედარებით სტაბილურობით ხასიათდებოდა, შემდგომ

აქ სურათი იცვლება. ეს ცვლილება ძირითადად მოხდა დიდი სამა-
მულო ომისა და მის შემდგომ პერიოდში. სსრკ უმაღლესი სამა-
მულო პრეზიდენტის 1943 წ. 12 ოქტომბრის ბრძანებულებით ყორაჩიერების
აცტონომიური ოლქის გაუქმებისა და მისი ტერიტორიის მეზობელ
რესპუბლიკებს შორის გადანაწილების შედეგად საქართველოს
გადაეცა უჩიულანსკისა და მიქოანოესკის რაიონების ტერიტორიის
ნაწილი.⁴³ ამ ტერიტორიაზე შექმნეს ქლუხორის რაიონი. მის ადმინ-
ისტრაციულ ცენტრად დამტკიცდა ქალაქი მიქოანშახარე. იგივე
ბრძანებულებით ამ ქალაქს გადაერქვა სახელი და ენოდა ქლუხორი.

შესაბამისად დადგინდა საზღვარი რსფსრსა და საქართველოს
შორის: დასავლეთით იგი ემთხვეოდა მიქოანოესკის რაიონის
საზღვარს, აღმოსავლეთით საზღვრის ხაზი გავლებული იქნა
ქლუხორის ჩრდილოეთით, შემდეგ მდ. მარით მიემართებოდა სოფ-
ქვემო მარისაკენ. ეს სოფელი ჩჩებოდა საქართველოს საზღვრის
მიღმა და საზღვარი გადიოდა უჩიულანსკის რაიონის საზღვარზე
(სოფ. ზემო მარის სამხრეთი) და სამხრეთით საზღვრის ხაზი
დაამთხვიეს უჩიულანსკის რაიონის საზღვარს. მთლიანად აღ-
ნიშნული ტერიტორიით საქართველოს შეემატა დამატებით 3592,8
კმ² ფართობი.

1944 წლის 7 მარტს, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტის
ბრძანებულებით, იგივე მოტივით გააუქმის ჩეჩინეთ-ინგუშეთის ასსრ.
მეზობელ რესპუბლიკებს შორის მისი ტერიტორიის გადანაწილების
შემდეგ საქართველოს შემადგენლობაში შეიყვანეს იტუნკალინსკის
რაიონი მთლიანად, შაროვესკის რაიონის დასავლეთური ნაწილი,
გალანჩიოვესკის და გალაშკინსკის საგარეოუბნო რაიონების სამხრე-
თული ნაწილი და ჩრდილო ოსეთის ასსრ გიზელსკის რაიონის
სამხრეთ-აღმოსავლური ნაწილი. ამის საფუძველზე შეიქმნა საქართ-

⁴³ ყარაჩაველთა აცტონომიური ოლქის გაუქმების ძირითად მოტივად ბრძანებულე-
ბაში მოყვანილია ის ფაქტი, რომ „მათი ტერიტორიის გერმანელების მიერ რკუ-
პაციონი დროის ბერძნ ყარაჩაველი ვნედდა დალაპტა. ისინ ჩატერენენ საბჭოთა
ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლთა რაზმებში. გერმანელების განდევნის შემ-
დეგაც ნინააზმედებობას უნევრ საბჭოთა ხელისუფლებას. ამიტომ ყველა ყარა-
ჩაველი გადასახლებული იქნებ სსრკ-ს სხვა რაიონებში, ხოლო ოლქი გაუქმდეს“
(უახლესი ისტორიის არქივი, ფონ. 600 ან 2, საქ. 78).

კელოს სსრ-ს ახალხევის რაიონი, რომლის ფართობი დაახლოებით
შეადგენდა 2 ათ. კმ².

რესტრუქცია

იმავე წელს საქართველოზე გადაცემული ჩრდილო ოუკუნძულის ტოპოგრაფიული
ტონომიური რესპუბლიკის ყოფილი გიზელსკის რაიონის სამხრეთ-
აღმოსავლეური ნაწილი და გალაშინსკის საგარეუბნო რაიონი, დაუ-
ქვემდებარეს ყაზბეგის რაიონს (იხ. დან 4. სქ. 10) მოხდა ის, რომ
საქართველოს აქ დაუბრუნდა ისტორიულად კუთვნილი ტერიტორია
456,5 კმ² და აღსდგა საქართველოს აღმინისტრაციულ-სამეურნეო
უფლებები. რსფსრ-სთან საზღვრის ხაზი გატარდა ზუსტად ისე,
როგორც ეს აღნერილია ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიაში და მის
რუკაზე.

აღნიშნულის საფუძველზე შეტანილი იქნა ცულილებები რსფსრ-
სა და საქართველოს სსრ საზღვრის ხაზშიც. კერძოდ არსებულ –
საქართველოს ძველი საზღვრიდან მეომრია-ხოხის დასავლეთით და
ზღვის დონიდან 4776 მეტრის სიმაღლის მთის აღმოსავლეთით,
ჩრდილო-აღმოსავლეთით მდ. გენალდონზე, სოფ. ქვემო სანიბას
დასავლეთით, შემდეგ ჩრდილო-აღმოსავლეთით 2642,2 მ. სიმაღლის
მთამდე, აქედან აღმოსავლეთით მდ. თერგამდე და მატლაის ქედის
თხემის 3002,0, 2223,2 მეტრის სიმაღლის მთების გავლით ჯარ-
ლომისა და ცორეილომის ქედებით, სოფ. კაჯავინჩის სამხრეთით და
2072,6, 2275,5, 2327 მეტრის სიმაღლეების გავლით, სოფ. ნიკორათის
ჩრდილოეთით, შემდეგ კი აღმოსავლეთით ყოფილი იტუმკალინსკის
რაიონის ჩრდილო-აღმოსავლეთური საზღვრიდან შაროევსკის
რაიონის ჩრდილოეთური საზღვრით მდ. შაროარგუნამდე, შემდგომ
სამხრეთით მდ. ხარკატეახეის (ხულანდოის) და ხარაგაი-ახეის გაყ-
ოლებით იმ მწვერვალამდე (4090,0 მ.), სადაც იდო სოციალისტური
საქართველოს საზღვარი რსფსრსთან.⁴⁴

იმავე წელს ზემო სვანეთის ტერიტორიას შეუურთეს მ. იალბუზისა
და ბალყარეთის ასსრ-ს მთიანი რაიონები და საქართველოსა და
რსფსრ-ს შორის საზღვრის ხაზი გატარებული იქნა მ. იალბუზის
ჩრდილო ფერდობთან მდებარე ბურუნტაშის გადასასვლელზე, შემ-
დეგ აღმოსავლეთით – მდ. მალკას გაყოლებით 2877 მ. სიმაღლის

⁴⁴ უაზლესი ისტორიის არქიფი, ფონ. 600, ან 2, საქ. 589.



მთამდე, აქედან სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. ისლამ-ჩის გაყოლებით და კირტიკაუშის გადასასვლელთან მდებარე 3242 მეტრზე მაღლის მნვერვალამდე, სამხრეთ-აღმოსავლეთით პრეცენტულმა გაყოლებით მესტიის გადასასვლელამდე (საქართველოს საზღვრამდე).⁴⁵

1955 წლის 28 ივნისს სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ქლუხორის რაიონი გამოეყო საქართველოს და გადაეცა რსფსრ-ს.

1957 წლს რუსეთმა გააუქმა ახალხევის ადმინისტრაციული რაიონი და საქართველოსთან შეთანხმების მიღწევის გარეშე კვლავ შეიქრთა ყაზბეგის რაიონს დაქვემდებარებული დარიალის უბანი და სოფლები (ზემო და ქვემო ლარსი, თერგის პირი, სანიბა, დარიალი, თამარიანი, განახლება, შრომა, თერგულა, მთისძირი (იხ. დან. 4. სქ. 10).

შესაბამისად სსრკ გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარმა სამმართველომ იხელმძღვანელა ცალმხრივი დოკუმენტით და ახალ ტოპოგრაფიულ რუკებზე აღადგინა 5 ვერსიან რუკაზე დატანილი თბილისის გუბერნიის საზღვრის ხაზი.

1958 წლის 13 ივნისს იყო ცდა საქართველოსა და დაღესტანის ასსრ-ს საზღვარში შეეტანათ ცვლილებები. ამ ცვლილების უმთავრეს მოტივს დაღესტნელების აზრით წარმოადგენდა ის, რომ თითქოს 1945 წლის მიღებული არასწორი გადაწყვეტილების გამო მათ საზღვარს მიღმა დარჩა სოფ. ჩერო და მიმდებარე ტერიტორია.⁴⁶

უახლესი ისტორიის საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ „ვინაიდან დაღესტანის ასსრ-ს ცუმატინსკის რაიონის ხუშეთის სასოფლო საბჭო ტრადიციულად მომსახურებას უნდავს“ სოფ. ჩეროს და მის ირგვლივ მდებარე სოფლებს და ხუშეთის კოლმეურნეობების ბრიგადაც სოფ. ჩეროში მდებარეობს, ამიტომ, მათი აზრით, „მთათუშეთში დაღესტანისათვის საქართველოს უნდა დაეთმო დაახლოებით 40 კმ² ტერიტორია“. მათი ვარიანტით საზღვრის ხაზი

⁴⁵ უახლესი ისტორიის არქივი, ფონ. 600, ან 2, საქ. 589.

⁴⁶ შევნიშვნავთ, რომ 1945 წ. მიღებული გადაწყვეტილებით აქ საზღვარი გატარდა ისე, როგორც ეს იყო 1921 წლამდე და შემდგევაც. მაგალითად ოცდაათიან წლებში გამოცემული 1:500000 მასშტაბის რუკაზე საზღვარი ზუსტად ისეა გატარებული, როგორც აღრინდეს ნაკროებშია ნაწევნები.

უნდა გატარებულიყო „ზღ.დ. 4086,1 მ. სიმაღლის მნვერვალიდან (რომელიც დიკლოს მთის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს 3200 მეტრში), სამხრეთით 3702,7 მეტრის სიმაღლის მთასა და მ. ჩრდილოეთი ვანის მთის (3033,6) გავლით სოფ. ჩეროს დასავლეთით, შემდეგ მას უკანიდა მდ. ანდის ყოისუს და ვევოს ქედის თხემით 2858,4 მ., 2952,7 მ. და 2918,8 მეტრის სიმაღლეების გავლით.⁴⁷ როგორც გაირკვა ამ მოთხოვნებზე მათ საქართველოს მთავრობისაგან უარი მიიღეს. ამის დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ 1961 წ. გამოცემული ტოპოგრაფიული რუკები 1:200000 და 1:500000 მასშტაბში.

შეიძლება აღინიშნოს, რომ 1920 წ. 7 მაისიდან 2002 წ. ჩატოვლით საქართველომ სულ გაასხვისა 18498 კმ² ტერიტორია (იხ. დან 4. სქემა 12).

⁴⁷ უახლესი ისტორიის არქივი, ფონ. 2119, ან 1, საქ. 58.



თავი III

თანამედროვე საქართველოს მდებარეობა. ტერიტორიული წრის მიერა
საზღვრები (კარტომეტრიული აღწერა)

3.1. ზოგადი ცნობები

დღეისათვის, როდესაც საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო ეპიდრობის მშენებლობის გზას დაადგა, მისი ტერიტორია ვრცელდება: ჩრდილოეთით: ჩ.გ. $43^{\circ}35'25''$ და ა.გ. $40^{\circ}23'31''$. აღმოსავლეთით: ჩ.გ. $41^{\circ}17'$ ა.გ. $46^{\circ}44'32''$, სამხრეთით: ჩ.გ. $41^{\circ}02'58''$ და ა.გ. $46^{\circ}30'$, დასავლეთით: ჩ.გ. $43^{\circ}23'31''$ და ა.გ. $40^{\circ}00'30''$.⁴⁸

ჩრდილოეთით უკიდურესი ნერტილია მ. აბგა (650 მ.), უკიდურეს აღმოსავლეთით მდ. ავრიჩას შესართავთან (194 მ.), უკიდურეს სამხრეთით მდ. იორის შესართავთან (83 მ.) ხოლო უკიდურეს დასავლეთით მდ. ფსოუს შესართავი.

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის შესახებ გეოგრაფიულ თუ სხვა ხასიათის ნყაროებში ხშირად ვხვდებით გეოგრაფიული კოორდინატების განსხვავებულ მაჩვენებლებს. მაგალითად, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მიხედვით საქართველოს ტერიტორია ვრცელდება: „უკიდურეს დასავლეთით და აღმოსავლეთით საზღვრები გადის ა.გ. $40^{\circ} 05'$ და $46^{\circ}44'$, ხოლო სამხრეთი და ჩრდილოეთი საზღვრები ჩ.გ. $41^{\circ}07'$ და $43^{\circ}35'$. ლიტერატურაში ისიცაა აღნიშნული, რომ აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ საქართველოს გაჭიმულობა 603 კმ-ია.

თუ ამ კოორდინატებს შევადარებთ ახალი გამოთვლის შედეგებს დავრნმუნდებით, რომ გეოგრაფიულ ლიტერატურაში მოყვანილი მაჩვენებლები ერთგვარ უზუსტობას შეიცავს. ასე მაგალითად: ძველი განსაზღვრით გრძედებს შორის სხვაობა ტოლია $46^{\circ}44'-40^{\circ}05'=06^{\circ}39'$ -ის, ჩვენი მონაცემებით კი ანალოგიური მაჩვენებელი ტოლია $46^{\circ}44'-40^{\circ}00'30''=06^{\circ}43'30''$ -ის.

⁴⁸ აღნიშნული ინფორმაცია მიღებული იქნა აეტორის მიერ 1986-1988 წლებში კოორდინატების ხელახალი გადამოწმების საფუძველზე.


რადგანაც საქართველოს საშუალო განედური მდებარეობა
თითქმის $42^{\circ}30'$ -ია, ამიტომ ამ განედზე, ჩვენი გამოთვლების მხარეზე კულტურული
ვით, საქართველოს ტერიტორიის გაჭიმულობა გრძედზე ექვივირობს $46^{\circ}44' - 40^{\circ}00'30'' = 6^{\circ}43'30''$ რაც კილომეტრობით ტოლია – 529,2.

საქართველოს გაჭიმულობის გამოთვლა ანალოგიური წესით არ
იქნება სწორი, რამეთუ სამხრეთ-აღმოსავლეთის კიდურა წერტილი-
დან გავლებული სწორი, დასავლეთის კიდურა წერტილზე, რამდე-
ნადმე განსხვავებულ რიცხვს გვაძლევს, და აი რატომ: ვინაიდან
საქართველოს ზუსტად აღმოსავლეთ-დასავლეთური გავრცელება
არ ახასიათებს და იგი უფრო ჩრდილო-ჩრდილო დასავლეთურია,
ამიტომ ამ მანძილის განსაზღვრა უნდა მოხდეს მისი კიდურა წერ-
ტილების განედთა და გრძედთა სხვაობებით. მაგრამ მათი შემაერთე-
ბელი სწორი საქართველოს ტერიტორიაზე დღებულობს 295° -იანი
აზიმუტის მიმართულებას. ამიტომ სამხრეთ-აღმოსავლეთისა და
ჩრდილო-დასავლეთის კიდურა წერტილების გრძედთა განედური
სხვაობები ერთმანეთის ტოლი არ არის და ამდენად ხაზის 295° -იანი
მიმართულება იქნება ტოლფერდა ტრაპეციის დიაგონალის ფუნ-
ქციას. აღნიშნულის საფუძველზე ჩ.გ. $41^{\circ}02'58''$ -იან პარალელზე
გრძედთა სხვაობა ტოლია $553,5$ კილომეტრის, ხოლო ჩ.გ. $43^{\circ}34'35''$ -
იან პარალელზე გრძედთა სხვაობა კი ტოლია $534,3$ კმ-ის. ამ
შემთხვევაში განედთა სხვაობა – $2^{\circ}31'37''$ შეესაბამება $280,7$ კილო-
მეტრს. ასეთი ტრაპეციის დიაგონალის გამოთვლის წესით მივიღეთ,
რომ საქართველოს მაქსიმალური გაჭიმულობა სფეროზე, სამხრეთ-
აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ $611,8$ კილომეტრის
სიგრძისაა.

საქართველოს ტერიტორიის ფართობი ოფიციალური ცნობით
1995 წლისათვის შეადგენდა $69,7$ ათას კმ². თუ გადავხედავთ ტერი-
ტორიის ფართობის დინამიკას, იგი ერთგვარ გაოცებას იწვევს.

არსად არ ჩანს და არავინ იცის თუ რა მეთოდით ან ვის მიერ იქნა
დადგენილი საქართველოს ტერიტორიის ფართობი სხვადასხვა
წლებში, ამიტომ დღეისათვის აუცილებლობა მოითხოვს გადა-
მონადეს საქართველოს ტერიტორიის ფართობი.

არსებული ინფორმაციის საფუძველზე საქართველოს ტერიტო-
რიის საზღვრების საერთო სიგრძე 1955 წლისათვის მიჩნეული იყო

1916 წმ, აქედან საზღვაო საზღვარი 308 კმ-ს შეადგენდა და მე-
ლეთის წილზე 1608 კმ მოდიოდა.

უნიტეტი

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მიხედვით 1938 წლის მიხედვით 1938 წლის
საქართველოს ტერიტორიის საზღვრების მოხაზულობა 1968,8 კმ-ს
შეადგენდა. აქედან 1660,4 კმ სახმელეთო საზღვრის სიგრძეა. გა-
მოდის, რომ საზღვაო საზღვრის სიგრძე 308,4 კმ-ია. ე.ი. 1955 წლიდან
(იხ. ცხრილი 5) ფართობი მცირდება და საზღვარის მოხაზულობის
სიგრძე იზრდება?

ცხრილი 5

საქართველოს ტერიტორიის ფართობი.

წლები	ფართობი (ათ. კმ ²)	ნებაროვები	გამოცემის წელი
1930	69,5	დიდი საბჭოთა ენციკლოპედია	1930
1936	70,1	მცირე საბჭოთა ენციკლოპედია	1936
1949	76,4	საქართველოს სსრ ადმინის- ტრაციული დაყოფა	1949
1952	76,4	დიდი საბჭოთა ენციკლოპედია	1952
1955	72,5	საქართველოს სსრ	1955
1958	70,0	საქართველოს სსრ სტატ. კრებული	1958
1964	69,7	საქართველოს სსრ ატლასი	1964
1967	70,0	საბჭოთა კავშირი „საქართველო“	1967
1977	69,5	საქართველოს სსრ ადმინის- ტრაციული დაყოფა	1977
1981	69,5	ქართული საბჭოთა ენციკლოპედია	1981
1992	69,7	სასკოლო ატლასი „საქართველო“	1992

აღნიშნულ ინფორმაციას თუ კარტომეტრიულ კომენტარს გა-
უჟეოთებთ, მაშინ ისმება კითხვა; საქართველოს ტერიტორიის ფარ-
თობიდან რატომ უნდა იყოს გამორიცხული ტერიტორიული წყლების
ფართობი? არ იქნება მართებული შავი ზღვის სანაპირო ხაზის მიჩ-

ნევა საზღვაო საზღვრად, ეს იქნება უხეში შეცდომა და აუცილებელი ლიკა ტერიტორიალური ნყლების საზღვრის სიგრძის განსაზღვრაც.⁴⁹

საჭიროა, რომ საქართველოს ტერიტორიული ნყლები, რომელიც უშუალოდ აკრავს ხმელეთს და ჩვენი ქვეყნის სუვერენულ არეს წარმოადგენს, ითვლებოდეს საქართველოს ტერიტორიად. ამ პოზიციებიდან საქართველოს ტერიტორიული ნყლები, 1:200000 მასშტაბის რუკაზე განსაზღვრის საფუძველზე შეადგენს 7099,3 კმ²-ს, აქედან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნის ფართობი, ტერიტორიული ნყლებით ტოლია 76,79 ათასი კმ²-ის. სახელმწიფო საზღვრის მთელი პერიოდზე უდრის 1967,6 კმ. აქედან, საქართველოს რესპუბლიკას აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან 402,2 კმ-ის სიგრძის საზღვარი უდევს, სომხეთთან 206,8 კმ, ხოლო თურქეთთან კი - 240,8 კმ. რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის სახელმწიფო საზღვრის ხაზის სიგრძე ტოლია 819 კმ., ხოლო საზღვაო საზღვრის სიგრძეა 297,9 კმ. (3).⁵⁰

რესპუბლიკის დღევანდელი მინაწყალი ძირითადად კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის თხემის სამხრეთითაა მ. აგეფსთადან (დასავლეთით) მ. ტინოვროსომდე გაჭიმული. მხოლოდ მ. ზილგახოხსა და შავკალდეს შორის მოქცეულ მონაკვეთზე საქართველოს ტერიტორია კავკასიონის ჩრდილო ფერდობზეც გადადის მდ. თერგის, ასის, არღუნისა და სულაკის (კერძოდ, ანდის ყოისუს) აუზებში (7).

ქვეყნის დაახლოებით შუა ზოლი ემთხვევა ამიერკავკასიის მთათაშორისი ბარის დასავლეთ ნაწილს და შემოფარგლულია აღმოსავლეთიდან პირობითი ხაზით, რომელიც მ. ტინოვროსოდან მდ. ალაზნისაკენ ეშვება და შემდევ ამ უკანასკნელს გაუყვება თითქმის მინგეჩაურის წყალსაცავის შესართავამდე (7).

სამხრეთული ნაწილი უკავია ანტიკავკასიონის ვრცელი მთიანეთის განაპირო ჩრდილო მხარეს; რესპუბლიკის ფარგლებში ხდება

⁴⁹ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების შესაბამისად ტერიტორიული ნყლების მსაზღვრელია აღმოფენილი იქნა ნაპირიდან 12 მილი. სადაც ერთ მილად მინიჭეულია 1-ზი რეალუს შესაბამისი სიგრძე - 1.852 კმ.

⁵⁰ კარტომეტრიული მონაცემები მის მიერ განსაზღვრულია 1:100000 მასშტაბის სახელმწიფო ტოპოგრაფიულ რუკაზე.



ანტიკავკასიონის შემადგენელი ორივე მირითადი გეოგრაფიული ზონის გარეგანი ანუ მცირე კავკასიონის ზონისა და შინაგანი პლატფორმის ამიერკავკასიის ზეგანის ზონის გარკვეული მონაკვეთები (7).

რესპუბლიკის სამხრეთ საზღვარი, რომელიც დასავლეთით შავი ზღვის ნაპირზე იწყება სოფ. სარფში, კვეთს ჯერ პონტოს, ანუ ჭანეთის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთურ ბოლოს და ჭოროხის ქვემო წელის ხეობას და მიუკვება შავშეთის ქედის თხემზე; აქედან საზღვრის ხაზი გასდევს შავშეთის და არსიანის ქედებისა და ერუშეთის მაღლობის თხემებსა და ფერდობებს, ჰკვეთს მდ. მტკვარს თურქეთის ქალაქ ქურთულებასთან და ადის ნიალისყურის სერის თხემზე; სომხეთისაგან საქართველოს სამხრეთულ ნანილებს გამოყოფენ ნიალისყურის სერისა და სომხეთის ქედის თხემები (7).

პროფ. ლ. მარუაშვილი საქართველოს, როგორც მთლიანი ფიზიკურ-გეოგრაფიული ერთეულის საზღვრების ამ აღნერას აკეთებს ზოგადგეოგრაფიული თვალსაზრისით, მაგრამ ვინაიდან დელიმიტაციისა და დემარკაციის სამართლებრივი აქტები ტოპოგრაფიულ ანალიზს ეფუძნება, ამიტომ ქვემოთ, საქართველოს ტერიტორიის სასაზღვრო ზოლის ტოპოგრაფიული აღნერაა მოცემული.

3.2. საქართველო-თურქეთის თანამედროვე ხაზდევარი

თურქეთსა და საქართველოს შორის საზღვრის ხაზის მოხაზულობა და სიგრძე დელიმიტირებული და დემარკირებულია რუსეთსა და თურქეთს შორის 1921 წლის 16 მარტს დადგებული ხელშეკრულებით. ანალოგიური ხელშეკრულება რატიფიცირებული იქნა 1921 წ. 13 ოქტომბერს, აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის ხელმოწერებით (9 გვ. 89-90).

თურქეთთან საქართველოს საზღვრების მონაკვეთი 1992 წ. 26 მაისამდე ითვლებოდა სსრკ-სა და თურქეთის სასაზღვრო ზოლის ნანილად ამირკავკასიში. მთელს ამ სასაზღვრო ზოლზე რუსეთის მიერ ჩატარებულია „მყარი“ მარკირება რომელთა დაცვას ანარმოებდა რუსეთის სასაზღვრო ჯარების ნანილები. გასამხედროებული მეთვალყურეობისათვის მთელს ზოლზე (240,8 კმ) შექმნეს 297 სასაზღვრო ნიმუშები და სათვალთვალო. გამოდის, რომ საქართ-

კელო-თურქეთის საზღვარზე რუსეთს დაახლოებით ყოველ 800
მეტრში დაფიქსირებული პქონდა სასაზღვრო ნიშნული და სურაული
ვალთვალო.

შემცირებული

დღეისათვის კი ეს სასაზღვრო ზოლი ასეთი მოხაზულობისაა: მავ-
ზღვაზე საქართველოს ტერიტორიული წყლების საზღვრის ხაზი მარ-
თობულად ებჯინება სოფ. სარფს და მას შუაზე ჰყოფს; სარფის ზევით
საზღვრის ხაზი 30° -იანი ფერდობით ადის ნყალგამყოფი ქედის თხემზე
და მწვერვალის (1218 მ.) გავლით მიემართება მ. უგურზე (1168 მ.), ეძ-
ვება ჭოროხის ხეობაში ხოფ. კირნათთან, შემდეგ მდ. ჭოროხის გასნ-
ვრივ სოფ. თექინედან აღმოსავლეთით, ხეობის ავლით მ. ბაშთურქის
(1712 მ.) და სამი მწვერვალის (2151 მ., 1937 მ., 1278 მ.) გავლით ეშვება
მდ. მაჭახელას ხეობაში, კვეთს მას და ფერდობით ადის შავშეთის ქედის
თხემზე მ. მურათყანის (1888 მ.) მიმართულებით, რომლის შემდეგ სა-
საზღვრო ხაზი მიუყვება ამავე ქედს, გაივლის მ. კორდას (2371 მ.),
იმერხევის მთას (2537 მ.), მ. რეინისკარს (2376 მ.), კვირალის უღელტეხ-
ილს და ადის არსანის ქედზე; სამხრეთიდან 800 მეტრის შემდეგ მი-
ადგება მ. კენჩაულს (2992 მ.), შემდეგ საზღვარი თხემით გადის მ. ბიუ-
დაგს (2038 მ.), მ. ხირხატისციხეს (2586 მ.), უღელტეხილ ქვისტახტს
(2420 მ.), კვეთს მდ. გრძანისნყლის მარჯვენა შემდინარეს სათავიდან
1500 მეტრში და ხორმანის ქედის სამხრეთულ დაბლობიდან ეშვება მდ.
გრძანისნყლის ხეობაში და აღმოსავლეთით ერთი კილომეტრის შემდეგ
ნყალგამყოფიდან შევება მდ. ჭანჭახის ნყლის ხეობაში; მიუყვება მას და
თურქეთის ხოფ. არმურტვერენეს არ მისული ჭანჭახისნყლისავე ხეო-
ბიდან უხვევს მარცხნივ. 500 მეტრის შემდეგ მიემართება აღმოსავ-
ლეთით მდ. ფოცხოვისნყლის ხევში და გასდევს მას; უხვევს ჯაყისნყლის
ხეობაში და სოფ. სავაშირიდან ადის მ. აირილიანბაშზე (2582 მ.) ეშვება
მდ. კარზამეთის-ნყლის ხეობაში, მისი შესართავიდან გასდევს მდ.
მტკვარს თურქულ სოფელ კერტენოკომდე, უხვევს აღმოსავლეთით
2036 მეტრის სიმაღლის მთამდე (მურაყალის ქედზე) და ეშვება ხოზაფ-
ინის ტბაში. ტბაზე საზღვრის ხაზის სიგრძე 5 კმ-ია. ტბიდან საზღვარი
35°-იანი დაზრილობის ფერდობით ადის მ.ბალიკამდე (234 მ.), გაუყვება
გეკთაფინის ქედის თხემს, გაივლის მ.გვედაგს (2790 მ.), გეკდაგის
უღელტეხილს (2360 მ.), მ. ზიარეთს (2803 მ.) და მთავრდება
მ.ერკატარის (3008 მ.) აღმოსავლეთით, 2981 მეტრის სიმაღლის მთაზე.

3.3. საქართველო-სომხეთის საზღვრის მდგომარეობა.

უნიტარული

იმისათვის, რომ შემდგომში სომხეთის მხრიდან პროტეზურული კანკრიციული ამიტომ თურქეთის საზღვართან შედარებით აქ ჩვენ უფრო დეტალური აღნერის შედეგებით ვისაუბრებთ. საამისოდ გამოყენებული იქნა ნახევარ ვერსიანი და 1:25000 მასშტაბის რუკები.

საქართველოსა და სომხეთს შორის დასავლეთი საზღვარი იწყება იმ ნეტილიდან, სადაც საქართველო-თურქეთის საზღვარი მთავრდება აღმოსავლეთით. ეს არის მ.ერკატარიდან (3008 მ.) ჩრდილო-აღმოსავლეთით 1275 მეტრში მდებარე უსახელო მნვერვალი (2981,6 მ.). მისი 30°-იანი დაქანების თხემით საზღვრის ხაზი ეშვება 2829 მეტრის სიმაღლის უნაგირაზე; იგივე დახრილობის თხემით ადის მთაზე (2903,5 მ.) და თხემის გავლით ებჯინება ჩილდირის ქედს 2890,3 მეტრის სიმაღლის მთაზე. გაივლის ნიშნულებს (2825,9 მ., 2822,5 მ.), ეშვება სწორხაზოვნად ჩრდილო-აღმოსავლეთით 2748,0 მეტრის სიმაღლის ნიშნულზე და 2600 მეტრის შემდეგ მიაღება ნიშნულს (2568,4 მ.), საიდანაც სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით (ერთ კილომეტრში) გაივლის უნაგირას (224,0 მ.), მცირეტბების უბანს.⁵¹ საიდანაც ადის 35°-იანი ფერდობით თხემზე, და გაივლის 2602,7 მეტრის სიმაღლის მთას. აქ საზღვრის ხაზი იღებს სამხრეთ-აღმოსავლეთურ მიმართულებას და 2546,9 მეტრის სიმაღლის მთიდან კვლავ გახდევს ჩილდირის ქედის თხემს 2505 მეტრის სიმაღლის მთამდე; ეშვება ფერდობზე აღმოსავლეთით და აქედან სამი კილომეტრის შემდეგ გაივლის 2357,9 მ. სიმაღლის მთას; საიდანაც ჩრდილო-აღმოსავლეთური მიმართულებით, ერთი კილომეტრის შემდეგ (2366,3 მეტრის სიმაღლის მთის გავლით), სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, 2448,6 მ. სიმაღლის მთიდან, უცვევს აღმოსავლეთით მ.ორტულუდაგზე (2445,6 მ.). ციცაბო ფერდობით ეშვება სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ვაკეზე, გაივლის ნიშნულებს (2280,9 მ., 2206,4 მ.), კვეთს მადატაფის ტბის შემდინარე მდინარეს (სეზონურს) სათავესთან და იგივე მიმართულებით საზღვარი ადის მ.ოკიუზდაგზე (2441,5 მ.). აქედან საზღვრის ხაზი მიემართება ჩრდილო-

⁵¹ აქ სუსტად დაჭაობებულ ადგილას მდებარეობს ოთხი მცირეტბა ერთ-ერთი, ჩრდილოეთით მდებარე, მოქცეულია ჩვენს საზღვრებში.



აღმოსავლეთური მიმართულებით, ჩრდილო-დასავლეთის შერიდან
500 მეტრში აუვლის სომხურ დასახლებას, მიემართება 216ცჯრულუკული
რის სიმაღლის ბორცვზე. აქედან 500 მეტრის შემდეგ კვეთს შტაქჩინგი მეტეპ
- გუკასიანის საავტომობილო გზას, გადის 2178,5 მ. სიმაღლის
ბორცვზე (სოფ. კალინინოდან 1050 მეტრის მოშორებით); შემდეგ ვი-
ნწრო წყალგამყოფის გავლით (სოფ. სარაგიუხის ნანგრევებიდან
ჩრდილოეთით 800 მეტრში) უახლოვდება მ.აჩკასარს (3196 მ.) და ეშ-
ვება მდ. ყარანდიხდერეს ხევში, მიუყვება მას და სოფ. ირგან-ჩაიდან
2 კმ-ში მკეცირად უხვევს სამხრეთით. 1 კმ-ის შემდეგ დებულობს
აღმოსავლეთურ მიმართულებას, გასდევს მდ. სავეგუბულახს და
ჩრდილო მიმართულებით მიდის მდ. ყარასუს სათავემდე. აქ მკეც-
რად უხვევს სამხრეთ აღმოსავლეთით და გასდევს წყალგამყოფ სერს
ტყის პირზე. ეშვება სოფ. საატლოს სამხრეთით, უვლის მას სამხრეთ-
იდანვე და ჩრდილოეთური მიმართულებით მიუყვება მშრალ ხევს,
ადის 1929 მეტრის სიმაღლის მთაზე, საიდანაც აკეთებს მცირე
რკალს ჩრდილოეთისაკენ და გაივლის ლოქის უღელტეხილს (1848 მ.);
შემდეგ გასდევს წყალგამყოფ სერს, 2122 მეტრის სიმაღლის მთას,
მიუყვება თხემს, გაივლის მ. ოსინოვაიას და ეშვება მგლის ჭიშკარის
უღელტეხილზე (1787 მ.). აქედან იგი მიუყვება გზის პირს და მთა
დეზაკარის გავლით, ტყით დაფარული თხემით ეშვება 1430 მეტრის
სიმაღლის ბორცვზე, აქედან ეშვება ახკერპ-სტეფანავანის საავტო-
მობილო გზაზე, კვეთს მას სოფ. ახკერპიდან 2800 მეტრში; კვლავ
მიუყვება ტყის კონტურს, უვლის სამხრეთიდან სოფლებს: ხოჯორ-
ნის, ბარდაძორის; სომხეთის ქედის დაბლობიდან ეშვება მდ. დებე-
დაზე. მიუყვება მას და სოფ. მამაის შემდეგ მდ. დებედადან უხვევს
მარჯვნივ და ადის მ. ტანადაგზე (800 მ.). აქედან პაპაყარის ქედის
თხემით გაივლის 959 მეტრის სიმაღლის მთას, მ. ტარსს (883 მ.), მის-
დევს თხემს და მ. ბაბაყარის სამხრეთით - 1000 მეტრში უნაგირაზე
მთარდება.

3.3.1. საქართველო-ხომჩეთის ხაზღვრისპირა განსახლება

საზღვრისპირა განსახლებაში პირობითად ვვულისხმობთ 1/5 კილომეტრიანი სიგანის ზოლში განლაგებულ მოსახლეების სულ ჭირდებული პუნქტების ერთიან სისტემას.

საზღვრის ამ მონაცემთაშე მოქცეულია ნინონმინდის, დმანისის, ბოლნისის და მარნეულის რაიონების ტერიტორიათა ნაწილები. აქ განლაგებულია 61 სოფელი. აქედან, ნინონმინდას რაიონის 10 სოფელი, დმანისის რაიონის 24 სოფელი და მარნეულის რაიონის 27 სოფელი.

206,8 კმ. სიგრძის ზოლში 1989 წლის მონაცემების მიხედვით ცხოვრობდა 76460 კაცი. თუ ამ მაჩვენებელს შევადარებთ 1926 წლის მონაცემებს (31883 კაცი), მაშინ ვნახავთ, რომ 65 წლის მანძილზე ამ ზოლში მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა 45577 სულით. ე.ი. სამუალოდ წელიწადში მოსახლეობის მატება შეადგენდა 701,5 კაცს. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ეს ზოლი გამოირჩევა მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაღალი მაჩვენებლით. 1989 წ. მონაცემებით ყოველ 1000 მოსახლეზე მოსახლეობის შობადობის კოეფიციენტი 26,8 კაცს შეადგენდა, ხოლო მოსახლეობის მოკვდაობისა კი – 8,5-ს. აღნიშნული მაჩვენებლის მიხედვით ბუნებრივი მატების სალდო ყოველ 1000 კაცზე შეადგენს 18,3-ს. ასევე მაღალია ქორნინების მაჩვენებელი ყოველ 1000 კაცზე (13,5), ხოლო განქორნინება კი მცირეა -0,1. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ განსახლების ეს საზღვრისპირა ზოლი გამოირჩევა მოსახლეობის აღნარმოების მაღალი დონით.

ბუნებრივ მოძრაობასთან ერთად აქ მოსახლეობის რაოდენობის ზრდას ისტორიულად ხელს უწყობდა არა მარტო შიდა მიგრაციული პროცესები, არამედ იმიგრაციულიც. XVIII საუკუნიდან იმიგრაციულ პროცესში ჩართული იყო ვერ ბორჩალუელის რეგიონის თათრები,⁵² ხოლო XIX საუკუნის დასაწყისიდან კი სომხური მოსახლეობა.

საინტერესოა, რომ 1828 წლიდან მოყოლებული თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები სომხები ინტენსიურად ესწრაფოდნენ რუსეთის ქვეშემდომიბაში მყოფი ქრისტიანული საქართველოს ტერიტორი-

⁵² იგი მდებარეობს ირანის სამფლობელოში.

ისაკენ და ამით თავშესაფარს ეძებდნენ ქრისტიანულ რესეტის „რესეტის მთავრობაც თითოეულ გადმოსახლებულ სოჭებულ ულებელ მანეთს უხდიდა და ექვსი წლის ვადით გადასახადებიდან დაზღვურაში მიეცა ფლებდა“ (9). ვ. ნოზაძე სომხების ემიგრაციის მხოლოდ ამ ფაქტს აღნიშნავს და არ მოჰყავს მონაცემები სომხებზე. კერძოდ, თურქების მიერ მათი გენოციდის გამო 1916 წელს შემოხიზნულთა შესახებ.

არის ცნობა, რომ მხოლოდ აღნიშნულ წელს ყალიბმანისა და ყარსის რეგიონებიდან აყრილ სომებთა რაოდენობიდან ახალქალაქის მიმართულებით გადმოუხადავთ საზღვარი 100000-მდე ლტოლვილს. ამ რიცხვიდან ნანილი ადგილზე დარჩენილა, ხოლო ნანილს მოუთხოვია ბაკურიანი-ბორჯომი-თბილისის გავლით ერევნისაკენ ნასვლა.⁵³

სომები მოსახლეობის სამხრეთიდან შემოსახლების პროცესი კრძელდებოდა 1917 წლამდე და ამ ხნის განმავლობაში წელნელა ხდებოდა ათვისება საზღვრისპირა ზოლის ქართული ნასოფლარების და საძოვარ-სახნავ სავარგულების.

ამჟამად განსახლების ამ ზოლში იმიგრაციული მოძრაობის პროცესები არ შეინიშნება და მოსახლეობის რაოდენობის ზრდა ძირითადად ხდება ბუნებრივი მატების ხარჯზე.

აღნიშნული დემოგრაფიული პროცესების შედეგად, 15 კილო-მეტრიანი სიგანის საზღვრისპირა ზოლის მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობაში 1989 წლის მონაცემებით წამყვანი ადგილი უკავია ჯერ აზერბაიჯანულ მოსახლეობას 60%-მდე. ხოლო სომები მოსახლეობის ნილზე კი მოდის 17%, ბერძენ ეროვნებისაზე -7,1%, რუსი ეროვნების ნილზე 4,3%, ხოლო ქართველებისაზე კი 7,7%. დანარჩენი ეროვნების ხვედრითი ნილი ამ ზოლში ძალზე მცირება.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ 1926 წელთან შედარებით 1990 წლისათვის სომები ეროვნების მოსახლეობა შემცირდა 2,2%-ით, აზერბაიჯანელებისა -10%-ით, ბერძენებისა -2,4%-ით. ქართველების რაოდენობა კი გაიზარდა 1,2%-ით.⁵⁴

⁵³ ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქივის ფონდი 3004.

⁵⁴ უნდა შევინიშნოთ, რომ 1926 წ. სტატისტიკურ მასალაში თუ მითითებული იყო სარწმუნოება შესულანი, თურქი და ოსმალი, უკვე 1940 წლის შემდგომ პერიოდიდან დან მოყოლებული განსახლების ზოლის აღმისახლეულ წარმოშობულია მხოლოდ „აზერბაიჯანული“. პრინციპში კი ესენი თურქებული წარმოშობის



სოფელთა ხალხმრავლობის მიხედვით, განსახლების სისტემაში ნამყვანი ადგილი უკავია პატარა და საშუალო სიდიდის შემცირებული 90%. მთლიანობაში ისინი კომპაქტური დასახლების უბანში ფლერების უკავილი ცალკე აღებული, სასოფლო-სამეურნეო სპეციალიზაციით განსხვავდებიან.

პირველი არეალი, რომელიც მოიცავს ნინონმინდა-კალინინოს მიდამიებს, ძირითადად ზღვის დონიდან 2000 მეტრზე და მაღლა მდებარეობს. აქ განლაგებულია საშუალო სიდიდის 31 სოფელი და რაიონული ცენტრი ნინონმინდა. აქ სოფლის მეურნეობაში ძირითად სასაქონლო პროდუქციას წარმოადგენს რძე, ხორცი, მატყლი. მოსახლეობის ფულადი შემოსავლის 90%-ს იძლეოდა მეცხოველეობა.

მეორე არეალში, რომლის ტერიტორია უმთავრესად ზღვის დონიდან 1000-1800 მეტრამდე ვრცელდება, ფართოდ არის წარმოდგენილი სახნა-სათესი სავარგულები. აქ განლაგებულია 24 დასახლებული პუნქტი და მისი მოსახლეობის უმთავრეს საქმიანობას წარმოადგენს სარძევე მეცხოველეობისა და მეკარტოფილეობის პროდუქციის წარმოებას.

მესამე არეალი ვრცელდება ზღვის დონიდან 400-1800 მეტრამდე და მოიცავს ახკერპ-ოფრეთ-სადახლოს მიმდებარე ტერიტორიებს. აქ განლაგებულია 27 დასახლებული პუნქტი. მოსახლეობა მისდევს მარცვლეული კულტურების მოყვანას, მევენახეობას, მეთამბაქოებას და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებას.

საინტერესოა, რომ განსახლების ამ 15 კილომეტრიანი სიგანის სასაზღვრო ზოლში წლიურად მზადდებოდა 5-6 ათასი ტონა რძე და 36-38 ტონა კარაქი.

ამჟამად საქართველოს ეკონომიკაში თავისებური დეფიციტი იქმნება ამ ზოლში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით იმის გამო, რომ უკონტროლოდ არის დატოვებული სასაზღვრო ზოლის ვრცელი მონაკვეთები.

მოსახლეობაა. საზღვრის დასავლეთურ ნაწილში კი 1945 წლისთვის თურქი მოსახლეობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია მეტად მნიშვნელოვანია.

3.4. საქართველო-აზერბაიჯანის თანამედროვე საზღვანო

საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის გასული საუკუნის შემდეგ წერტილიდან, რომელსაც კონფლიქტის მიხედვით საზღვარი ჰქონის მიმდევარი მიერთება და ა.გ. $41^{\circ}17'50''$ და ა.გ. $41^{\circ}17'50''$. აქედან მიერმართება ჩრდილო-აღმოსავლეთით მნვერვალ ბაბაყარამდე (ზ.დ. 700 მ), ეშვება აღმოსავლეთით 440 მეტრის სიმაღლის წერტილამდე, უხვევს ჩრდილოეთით და 1100 მეტრის შემდეგ 440 მეტრის სიმაღლიდან ეშვება მდ. ხრამზე გადებულ ხიდზე (ნიოლ ხიდზე). ნიოლი ხიდიდან ჩრდილოეთით მიერმართება მდ. მტკერისაკენ და კვეთს მას (ჩ.გ. $41^{\circ}20'46''$ და ა.გ. $45^{\circ}05'56''$). ამ წერტილიდან ჩრდილო-აღმოსავლეთური მიმართულებით მიდის 17-ე სარწყავა არხამდე და იმავე არხის აყოლებით (რომელიც სოფ. რუსბოლოსა და სოფ. სადიხლის შორის გადის), კვეთს რკინიგზას და არხისავე მიმართულებით მიდის ჯანდარის ტბის პირზე, სწორხაზოვნად ჰკვეთს მას ჩრდილო-აღმოსავლეთური მიმართულებით, მიერმართება კვლავ ჩრდილო-აღმოსავლეთური მიმართულებით, შემდეგ ჩრდილოეთით და მ.ყარათეფედან (725 მ.) აღმოსავლეთით მიუყვება გზას, ჩრდილოდასავლეთური მიმართულებით ადის წყალგამყოფ სერზე და ამ სერითვე მ. უდაბნოსა (878 მ.) და მ. პატარა უდაბნოს (766 მ.) დასავლეთიდან ავლით, გზის გაყოლებით, საზღვრის ხაზი მიერმართება იალავის ქედზე, მისივე თხემით მიერმართება მ. გიოგთებეზე (829 მ.), გეოდეზიურ წერტილზე (664 მ.) შემდეგ ჩრდილო-აღმოსავლეთით უსახელო ტბამდე (მისგან სამხრეთ-აღმოსავლეთით 800 მეტრში) საიდანაც მევეორად უხვევს სამხრეთ-აღმოსავლეთით თხემზე, გეოდეზიური წერტილისაკენ (687 მ.) და თხემითვე გაივლის მ. იალავის, გეოდეზიურ წერტილებს (494 მ., 466 მ.), ჰკვეთს ყაჯირის სტეპს და ადის ჩობანდაგის ერთ-ერთ მნვერვალ მ. უჩბულაკზე (817 მ.) საიდანაც მ. ჩობანდაგის (890 მ.), მ. ყარადიუზის (798 მ.), მ. ტახტაფას (763 მ.) და სიმაღლეების (657 მ., 504 მ.) გავლით იგივე ქედის თხემიდან ეშვება მდ. იორზე. იორის გაყოლებით საზღვრის ხაზი არ მისული სოფ. კესამანთან, ადის ზ.დ. 310 მეტრის სიმაღლის მთაზე, საიდანაც სამხრეთ-აღმოსავლეთური მიმართულებით ჭრის ელდარის სტეპის სამხრეთულ ნაწილს, მიდის მდ. იორისპირთან, მიუყვება ბურუნქოვა-

კის სარწყავ არხს და მის ბოლოდან სწორხაზოვნად მიემართება ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე სიმაღლემდე (415 მ.). აუქტენტული მდ. მლაშენყლის ხეობით და შემდეგ აჯისუს ხეობიდან მდ. მლაშენის მეანდრულ მუხლთან (ჩ.გ. 41°06'30" და ა.გ. 46°38'43").

აღნიშნული წერტილიდან საზღვრის ხაზი გასდევს მდ. ალაზანს და მანქანა-ტრაქტორების ფარგებიდან ჩრდილოეთური მიმართულებით აუყვება მდ. ულკანსუს, შემდეგ მაზმიჩაის ხეობით მიდის მაჩხალროსოს უღელტეხილზე (2800 მ.) მ. ტინოვროსოსთან (3374 მ.).

საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის სიგრძე შეადგენს 402,2 კმ.

3.4.1. საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრისპირა განსახლება

საქართველოს აღმოსავლეთური საზღვრის გასწვრივ მოსახლეობის განლაგებაში შეინიშნება ერთგვარი თავისებურება. 402,2 კმ-ის სიგრძის საზღვრის 15 კილომეტრიანი სიგანის ზოლზე სულ განლაგებულია 78 სოფელი და ერთი ქალაქის ტიპის დასახლება (ლაგოდები). საშუალოდ ყოველ 10 კმ²-ტერიტორიაზე ერთი სოფელიც არ მოდის. შესაბამისად მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე ყოველ 1 კმ² ტერიტორიაზე 14,4 კაცს შეადგენს.

1929 წ. მონაცემებით მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის მიხედვით 40 სოფელში ჭარბობს ქართველი მოსახლეობა (საშ. 78%). 25 სოფელში კი აზერბაიჯანელები, 8 სოფელში ოსი ეროვნების მოსახლეობა, 3 სოფელში სომები ეროვნების მოსახლეობა, ხოლო 2 სოფელში ჭარბობს რუსი ეროვნების მოსახლეობა. მარტო ლაგოდებში ქართველი ეროვნების მოსახლეობა 67%-ს შეადგენს, რუსებისა - 16,7%-ს, სომები ეროვნების მოსახლეობა - 8,4%-ს.

სულ განსახლების ამ ზოლში 1989 წლის სტატისტიკური მონაცემებით ცხოვრობდა 87095 ადამიანი. 1926 წლის მონაცემებით კი მოსახლეობის საერთო რაოდენობა იყო 38399 სული. აქ ქართველთა რაოდენობა 1926 წელთან შედარებით გაიზარდა ორჯერ, აზერბაი-

კენელების – 7,5 ჯერ, რუსი, სომები და ოსი ეროვნების მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა ორჯერ.

განსახლების ეს ზოლი, რომელიც ძირითადად ხუთი ტრაციული რაიონის (გარდაბანის, საგარეჯოს, სიღნაღის, დედოფლის წყაროს და ლაგოდეხის) სოფლებითაა წარმოდგენილი, ერთ მთლიან უნივერტი განსახლების ზოლს არ ქმნის და ხასიათდება დისკრეტულობით. აღნიშნულიდან გამომდინარე სამეურნეო ტიპოლოგიის თვალსაზრისით აქ შეიძლება გამოიყოს სამი უბანი: I. საგარეუბნო მეურნეობის სპეციალიზაციით. განსახლების ეს ტიპი მოიცავს გარდაბანის რაიონის სამხრეთულ ნაწილს, სადაც 18 სოფელია განლაგებული და მათში მოსახლეობის ხალხმრავლობის მიხედვით ჭარბობს საშუალო და მსხვილი სოფლები; II. არამუდმივი განსახლების ზოლი საზაფხულო და საზამთრო საძოვრებით და დროებითი საცხოვრებელი სადგომებით. ეს ტერიტორია ვრცელდება უდაბნოს მთიდან მოყოლებული მდ. ივრისპირეთსა და მდ. ალაზნისპირეთში, მდ. აგრი-ჩაის შესართავამდე. მთელს ამ სიგრძეზე დასახლებული სოფლები მუდმივი მოსახლეობით არ გვხვდება, მაგრამ არის 200-მდე დროებითი სადგომები. III. ინტენსიური მიწათმოქმედების განსახლების უბანი სადაც ძირითადი სასოფლო-სამეურნეო სპეციალიზაციაა მეცნახეობა-მემინდერეობა და სახორცე-სარძევე მიმართულების მეცხოველეობა. აქ სოფელთა რაოდენობა 58-ია, ხოლო ერთი ქალაქი ლაგოდეხი. სოფელთა ხალხმრავლობის მიხედვით ძირითადად გამოიყოფა სამი ჯგუფი – წვრილი, საშუალო და მსხვილი სოფლები.

განლაგების ეს უბნები მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობაში ინტენსიურად იყენებენ თბილისი-ერევნის, თბილისი-აზერბაიჯანის (ბაქოს რეიინიგზას) და ლაგოდეხ-ზაქათალას საავტომობილო მაგისტრალს.

3.5. უდიდურეს დასავლეთის და კავკასიონის ქედზე გამავალი საქართველო-რსფსრ-ს საზღვარი

საქართველოს უკიდურეს დასავლეთით საზღვარი იწყება შავ ზღვაზე მდ. ფსოუს შესართავთან (ჩ.გ. $43^{\circ}23'31''$ და ა.გ. $40^{\circ}00'30''$). ამ

ნაწილში ხმელეთით (1:500000 მასშტაბის რუკის მიხედვით) 73,3 კმ-ის
სიგრძის საზღვარი უდევს საქართველოს კრასნოდარის მხარეს სამარგარებელი მდ. ფსოუს შესართავიდან იგი მიუყვება მას და ადის შემდეგი კუთხით ერთ კედზე მდებარე მ. აგეფსტაზე (3256 მ.), მიუყვება მის თხემს, გაივლის ზ.დ. 2791 მეტრის სიმაღლის მთას, შემდეგ მდინარეების: მზიმთასა და ავადხარას წყალგამყოფი სერით ახუკდარის გადასასვლელს, ლე-ბულობს ჩრდილო-აღმოსავლეთურ მიმართულებას და ადის კავკასიონის ცენტრალური ქედის წყალგამყოფზე, მიუყვება მას, გაივლის მ. აჟარას. აქედან სამხრეთ-აღმოსავლეთით 100 კმ-ის შემდეგ იგი მიადგება საქართველო-სტავროპოლის მხარის საზღვრის კიდურა აღმოსავლეთურ ნერტილს. შემდეგ კავკასიონის ქედის თხემით საქართველოს ესაზღვარი ყარაჩავეო-ჩერქეზეთის რესპუბლიკა. 173,5 კმ-ის სიგრძის ეს საზღვარი მიუყვება კავკასიონის ქედის წყალგამყოფს, გაივლის დამხურცის გადასასვლელს. მ. ჩამხარას (2664 მ.), გადასასვლელებს – ჩამხარას (2486 მ.), ადათს (2497 მ.), სანჩაროს (2589 მ.), ალაშტრახუს (2723 მ.), ლაბას (2575 მ.), ზ.დ. 2928 მ-ის სიმაღლის მთას, გადასასვლელ მაგანას (2265 მ.), 2794 მ-ის სიმაღლის მთას, გადასასვლელს – წყალგეხულირს (2539). შემდეგ აკეთებს რკალს და ჩრდილოეთური მიმართულებით მიემართება 3451 მ. სიმაღლის მთამდე, მიუყვება კვლავ თხემს, გაივლის ნაურის გადასასვლელს (2839 მ.) და 3489 მეტრის სიმაღლის მთას, კიზგიჩის გადასასვლელს (2997 მ.) და რიგი სიმაღლეების (3443 მ., 3434 მ.), გავლის შემდეგ მიდის მარჯხის გადასასვლელზე (2746 მ.) და ყარაკიას მნვერვალიდან (3892 მ.) მიემართება სამხრეთით და შემდეგ აღმოსავლეთისაკენ მ. ერნახოზე (3910 მ.), კვლავ მიუყვება კავკასიონის მთავარ ქედს და გაივლის მ. საფურუჯუს (3786 მ.), მ. ჯუგუტურლუჩატს, პტიშის გადასასვლელს (2995 მ.), ჩრდილო-აღმოსასვლეთით მ. დომბაი-ულგენს (4046 მ.), მიემართება სამხრეთ-აღმოსასვლეთით, შემდეგ ჩრდილო-დასასვლეთით გაივლის მ. ჩაკელს (3645 მ.), ქლუხორის გადასასვლელს (2781 მ.), აკეთებს რკალს ჩრდილოეთით და მიდის ნახარის გადასასვლელის გავლით მ. გვანდრაზე (3984 მ.), შემდეგ მიდის კვლავ გადასასვლელებით – დალარის (3291 მ.), ჩიპერის (3285 მ.). აქ მთავრდება საქართველო-ყარაჩავეო-ჩერქეზეთის საზღვარი.

საზღვრის შემდგომ მონაკვეთზე საქართველოს ესაზღვრება ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკა. იგი იწყება ჩიახერაზაუს (3264 მ.) გადასასვლელიდან და გაივლის დონლუზ-ორუნბაშის (3203 მ.) ტერიტორიაზე (3367 მ.) გადასასვლელებს და მ. შხელდას (4368 მ.). შემდეგ მ. ჩატინ-თაურთან (4411 მ.) მკვეთრად უხვევს ჩრდილოეთით, გაივლის მ. კავკასოს (4280 მ.), ჯანტუგანის (3483 მ.), გარვაშის (3769 მ.), მესტიის (3757 მ.), ლეხზირის (3687 მ.), ტვიბერის (3607 მ.), კოტლოფის (3629 მ.), სემის (3769 მ.) ცანერის (3887 მ.) გადასასვლელებს. აქედან საზღვარი გაივლის მ. რუსთაველის სახელობის მწვერვალს (4859 მ.), მ. შხარას (5068 მ.). შემოუვლის ჩრდილოეთიდან და გადის შაროვცე-კის (3434 მ.), გეზევცეკის (3462 მ.) გადასასვლელებს და ამ უკანასკნელიდან აღმოსავლეთით 4 კმ-ში მთავრდება 120 კმ-ის სიგრძის საზღვარი ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკასთან.

გეზევცეკის გადასასვლელიდან აღმოსავლეთით იწყება საზღვარი საქართველოსა და ჩრდილო ოსეთის რესპუბლიკას შორის. მთლიანად საზღვრის ამ მონაკვეთის სიგრძე 170 კმ-ს შეადგენს.

აღნიშნული ნერტილიდან საზღვრის ხაზი მიემართება გებევცეკის (3461 მ.), გურძიევცეკის (3349 მ.), მამისონის (2820 მ.) გადასასვლელებზე და გაივლის სამხრეთით მდინარეების კინჭახისა და მამიხდონის ნყალგამყოფზე (კოზიკომრახის ქედზე). აქედან კედარის (2952 მ.), ძედოს (2994 მ.), ზეკარის (3506 მ.), ბაზუანდავის (3037 ი.), კუთხას (2995 მ.) როკის (2995 მ.) გადასასვლელების და მ. ვაციგპარსის (3573 მ.) გავლით მიემართება ჩრდილოეთით და თრუსოს (3132 მ.) გადასასვლელიდან იგი მიუკვება ხოხის ქედის თხემურ ნანილს და მწვერვალ ყაზბეგიდან (5033 მ.) მიემართება ჯერ ჩრდილოეთით და შემდეგ აღმოსავლეთით მ. კაიჯონის (3914 მ.) და ზ.დ. 3159 მ. სიმაღლის მთის გავლით, ეშვება თერვის ხეობაში და კვეთს მას, ადის ობნურის ქედზე. აქ მთავრდება საქართველოსა და ჩრდილო ოსეთის რესპუბლიკას შორის გატარებული საზღვარი.

ოხნურის ქედის უსახელო მთიდან (3330 მ.), რომლის კოორდინატებია ჩ.გ. $42^{\circ}50'10''$ და ა.გ. $44^{\circ}41'05''$. აღმოსავლეთით 134,9 კმ-ის სიგრძეზე საქართველოს ესაზღვრება ინგუშეთი (36,5 კმ) და ჩეჩენეთი (98,4 კმ).

ოხნურის ქედიდან საზღვრის ხაზი მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთით, გაივლის მ. მალჩერეკორტს (3669 მ.) მ. შემცველებელი მ. ბაჩახოს (4291 მ.), მიემართება სამხრეთ-დასავლეთის შესაჭრები, ავტოტრანსპორტის რეგულირების და მ. შახარასთან (3691 მ.) მიემართება ჩრდილოეთით, გაივლის ორ უსახელო გადასასვლელს, შემდეგ საჯიხეეს ღელეს (3725 მ.), სალაშქროს ღელეს (3647 მ.), მ. მარტინისმთას (3898 მ.), არჯელომის ქედის თხემით და მ. ტერხეკორტის (3209 მ.) გავლით ეშვება მდ. ასას ხეობაში, კვეთს მას, შემდეგ მ. მახისმაღალის (3890 მ.), მ. ცუზუნკორტის გავლით მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთით, კვეთს მდ. არღუნს, ადის მუცოს ქედზე, შემდეგ თებულოს ქედის სამხრეთ-დასავლეთური ნაწილის თხემზე, უხვევს დასავლეთით თუშეთის ქედისაკენ, მისივე თხემით და მთების: კამიტოს (4261 მ.), დონოსმთის (4174 მ.), უსახელო მწვერვალის (3965 მ.) გავლით მიდის დიკლოს მთაზე (4285 მ.).

დიკლოს მთიდან სამხრეთით 143 კმ-ის სიგრძის საზღვრის მონაკვეთზე საქართველოს ესაზღვრება დაღესტანის რესპუბლიკა.

დიკლოს მთიდან საზღვრის ხაზი მიემართება სამხრეთით ბუციბაცის ქედის თხემით, მ. სარმაგლელეს (2596 მ.) და გადასასვლელის გავლით კვეთს მდ. ანდიის - ყოისუს, ახატლის ქედის თხემით და მ. პატარანაბადის (3252 მ.), მ. ენჩის (3304 მ.), მ. შავიკელდის (3578 მ.) გავლით მიუყვება კავკასიონის ცენტრალურ ქედს ყოდორის (2363 მ.) გადასასვლელს, მ. ნინიკას-ციხეს (3116 მ.). აქედან უხვევს სამხრეთ-დასავლეთური მიმართულებით და მთაერდება აღმოსავლეთით ტინოვროსოს მთაზე.

3.5.1. საქართველო – რსფსრ საზღვრისპირა ზოლის განსახლება

